# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 20 სექტემბერი, 2012 წელი.

№180 (7056)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუდილობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

# სააკაშვილ-მერაბიშვილ-ახალაიას ~~პენიტენციარული~~ პენისისტენიარული სისტემა








ამ დონემდე როგორ უნდა სცემო ადამიანი?!






## რა ნამუსით უნდა შემოხაზოს ქართველმა?!

## მიხეილ სააკაშვილი:

როცა რიგითი პოლიციელი რამე უკანონობას სჩადის, ეს მთელი ქვეყნისთვისაა ცნობილი, და როცა მისი მინისტრი ზომებს არ იღებს, მაშინ ეს მინისტრი ისეთივე ნაძირალაა, როგორც ის პოლიციელი! და როცა მინისტრი ამას არ აკეთებს და პრეზიდენტი ამის გამო მას არ ანთავისუფლებს პოსტიდან – მაშინ პრეზიდენტიც ნაძირალაა!

2003 წელი.

## გიგა ბოკერია: ჩვენ დავუშვით მძიმე შეცდომა, როდესაც სახალხო დამცველისგან მოსული სიგნალები სათანადოდ ვერ შევაფასეთ

②

## მარტო მინისტრია ნაძირალა თუ პრეზიდენტიც?

③

## პატრიარქი საზოგადოებას პატიმართა წამების ფაქტების შემსწავლელი სპეციალური კომისიის შექმნისკენ მოუწოდებს

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე საზოგადოებას გლდანის მე-8 საპყრობილეში პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შემსწავლელი სპეციალური კომისიის შექმნისკენ მოუწოდებს.**

**როგორც ილია მეორემ საპატრიარქოში საგანგებო ბრიფინგზე ბრძანა, მედიასაშუალებებით ვრცელდება შემაძრწუნებელი ფაქტები, რაც ხდება ციხეებში.**

## ბიძინა ივანიშვილი: პატიმრების ძალიან დიდი რაოდენობა, რომლებსაც აწამებენ, აბსოლუტურად უდანაშაულოა

**— ამის შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა დუშეთში, მოსახლეობასთან შეხვედრისას განაცხადა.**

მისივე თქმით, საქართველოს ათასობით მოქალაქე ციხეშია გამომწყვდეული ისე, რომ არავითარი კანონდარღვევა არ ჩაუდენია.

როგორც ივანიშვილმა აღნიშნა, ერთპიროვნული მმართველობის და ძალადობრივი პოლიტიკის შედეგი საზოგადოებამ უკვე იხილა.

# მიხეილ სააკაშვილი: რეალურად მოხდა სისტემური მარცხი

**— ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა სამართალდამცავი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განაცხადა.**

**— თქვენ გუშინ ამბობდით, რომ შემსრულებლებმა დავალება პატიმრებისგან მიიღეს. ბოდიში, მაგრამ ეს რაზე მეტყველებს, რა მდგომარეობაა ციხეებში? კანონიერი ქურდები ველარ მართავენ, სამაგიეროდ, რა ხდება შიგნით? ამიტომ ჩვენი პასუხი ბევრად უფრო მასშტაბური უნდა იყოს, ვიდრე ამ ხალხის დაჭერა, — მიმართა სააკაშვილმა ძალოვანებს.**

მისი თქმით, პირველ რიგში, სისტემა მთლიანად უნდა გადაიხედოს.

— დაგვრჩა ბოლო ნაწილობრივ რეფორმირებული სტრუქტურა სახელმწიფო აპარატში. ყველა ორგანო ფუნდამენტურად გამოვცვალეთ — პოლიცია, საგადასახადო, საბაჟო და ასე შემდეგ. ეს იყო ერთადერთი, სადაც მიუხედავად იმისა, რომ კალმახელიძემ ბევრი რამე შემოიღო, თურმე მთავარ ცენტრში ხდებოდა ის, რაც ხდებოდა, — განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, მთავარი, რაც ამ სისტემაში იყო, „ისეთივე საზიზღარ მდგომარეობაში აღმოჩნდა, როგორც ძველ დროს. აქედან გამომდინარე, ეს სისტემა უნდა გაუქმდეს და ახალი ჩამოყალიბდეს.



* * *

**საქართველოს პრეზიდენტმა პენიტენციარული სისტემის გაუქმებისა და ახლებურად ჩამოყალიბების ბრძანება გასცა.**

**საგანგებო თათბირზე პრეზიდენტის რეზიდენციაში სააკაშვილმა სისტემის კონტროლზე აყვანა ვანო მერაბიშვილს დაავალა.**

მისი თქმით, რეფორმების დასაწყისში სასჯელაღსრულების სფეროში ნაწილობრივი ცვლილება განხორციელდა, თუმცა, მთავარი რამ ისეთივე საზიზღარი აღმოჩნდა, როგორიც იყო.

— სიტუაცია ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს მთავარი პროკურატურის ან შსს-ს კომპეტენციას ეხება. პენიტენციარული სისტემა მთლიანად გასაუქმებელი და ახლებურად ჩამოსაყალიბებელი, გადასახალისებელია. ეს უნდა მოხდეს ისევე, როგორც პატრულში. ეს არის პოლიტიკური კომპრომატების ომი, მაგრამ ეს ყველაზე ნაკლებად მაღელვებს. მესმის, რომ ეს შეიძლება სხვაგვარად იმართება და ფულიც ტრიალებს, მაგრამ შენ არ უნდა მისცე საბაბი და არ უნდა აპოვნინო სუსტი წერტილი. მანიაკების ხელში არ უნდა ჩავარდეს სისტემა. როგორი ნულოვანი ტოლერანტობაც გვაქვს დანაშაულის მიმართ, ასევე უნდა იყოს ადამიანის უფლებების ნებისმიერი დარღვევების მიმართ, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ვანო მერაბიშვილს სხვა დანარჩენი საქმის გადადება და სისტემის კონტროლზე აყვანა დაავალა.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, პენიტენციარული სისტემა საპატრულო პოლიციაზე ბევრად პატარა სისტემაა და მას სწრაფად მოევლება.

* * *

**მიხეილ სააკაშვილმა სამართალდამცველი სტრუქტურების წარმომადგენლებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში საპატრულო პოლიციის შეყვანა დაავალა.**

**როგორც პრეზიდენტმა მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე განაცხადა, ეს დროებითი ღონისძიებაა, სანამ დაწესებულებებში გადახალისება მოხდება.**

— ასე იყო თავიდან პოლიციაში. შეიყვანეთ პატრულის ჯგუფები, ეს არ არის ბოლომდე პატრულის ფუნქცია, მაგრამ საგანგებო მდგომარეობაა, მანამ სანამ ყველაფერს ფუნდამენტურად არ განვაახლებთ. ეს დროებითი ღონისძიებაა, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

მისი თქმით, დაწესებულებებში ყველაფერი უნდა შეიცვალოს, მათ შორის უნდა გაფართოვდეს პრობაციის სისტემა ციხეების განტვირთვის მიზნით.

* * *

**სასჯელაღსრულების სისტემა მაქსიმალურად უნდა გაიხსნას, რადგან რაც მოხდა, დახურულ სისტემებს მოჰყვება-ხოლმე, — ამის შესახებ განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა გუშინ გააკეთა.**

**აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებს დაავალა, პატიმრების ახლობლების დაწყნარების მიზნით, პატიმართ ვიდეოპაემნები დაენიშნოთ.**

როგორც სააკაშვილმა ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განაცხადა, 25 ათასი ოჯახი ნერვიულობს იმის გამო, რაც ნახა ტელევიზორში და თუ სურვილი ექნებათ, სიაში ჩაეწერებიან და თავიანთ პატიმრებს ვიდეოპაემნის საშუალებით შეხვდებიან.

— დაუკავშირდით მათ და ვისაც უნდა ვიდეოპაემანი, გააკეთეთ სია, ყველა მიიყვანეთ და აჩვენეთ თავიანთი ნათესავები; დაამყარებინეთ კონტაქტი, რომ სალსალამათია და ფიზიკურად პრობლემა არ შეხებია. სისტემა მაქსიმალურად უნდა გავხსნათ. დახურულ სისტემას მოჰყვება ხოლმე ის, რაც მოხდა. პოლიცია ჩვენ გავხსენით და იმის გამო, რომ საზოგადოება ჩართულია, იქ ასეთი რამე მასშტაბურად გამორიცხულია, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებთან და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრაზე.

**ინტერპრესნიუსი**

## გიგა ბოკერია: ჩვენ დავუშვით მძიმე შეცდომა, როდესაც სახალხო დამცველისგან მოსული სიგნალები სათანადოდ ვერ შევაფასეთ

**უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია პენიტენციარულ სისტემაში მომხდარ დანაშაულის ფაქტებს ხელისუფლების შეცდომად აფასებს.**

**ბოკერიამ განაცხადა, რომ ყველა შეძრწუნებული და შოკირებულია იმ მასალით, რაც გავრცელდა და არანაკლებ იმ პრობლემით, რომელიც ნათლად გამოვლინდა.**

„ჩვენ, ხელისუფლებამ, დავუშვით მძიმე შეცდომა, როდესაც სათანადოდ ვერ შევაფასეთ ის სიგნალები, რომლებიც მოდიოდა სახალხო დამცველისგან, საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისგან, ამ სტრუქტურაში არსებული სისტემური პრობლემების შესახებ“, — განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა და აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში ხელისუფლების ბრძოლა დანაშაულის შემცირებისთვის მოცემულ სურათს არ ამართლებს.

ბოკერიას განცხადებით, ამ ეტაპზე ერთი და უმნიშვნელოვანესი საკითხია დამნაშავეების დასჯა უმკაცრესად და ეს მოხდება. არანაკლებ მნიშვნელოვანი კი არის ხელისუფლების იმ მოვალეობის შესრულება, რომ მსგავსი პრობლემების შექმნა იყოს შეუძლებელი ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაში და ესეც აუცილებლად მოხდება.

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 10 თანამშრომელია დაკავებული

**პატიმართა წამების ფაქტებთან დაკავშირებით, გუშინ საგანგებო განცხადება გაკეთდა საქართველოს მთავარ პროკურატურაში. როგორც მთავარმა პროკურორმა მურთაზ ზოდელავამ განაცხადა, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლების მიმართ პროკურატურაში მიმდინარეობს გამოძიება, რომლის ფარგლებშიც დაკავებული არიან:** დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გაგა მკურნალიძე; გლდანის მე-8 საპყრობილეს დირექტორი დავით ხუჭუა; დირექტორის მოადგილე ვიქტორ ყაჭეიშვილი; საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე; მე-8 საპყრობილის რეჟიმის უფროსი ინსპექტორი გიორგი კვარაცხელია; მერვე საპყრობილის რეჟიმის განყოფილების უფროსი ოლეგ ფაცაცია; კონტროლის ინსპექტორი მანუჩარ ლომთაძე; ოპერატიული მორიგე გელა ცომაია; კონტროლიორი ლევან ფხალაძე; უსაფრთხოების განყოფილების ინსპექტორი ბორის ფარულავა.

— მე-11 პიროვნებას — ვლადიმერ ბედუკაძეს, მორიგე ინსპექტორს — დაუსწრებლად წარედგინა ბრალი. სსს კოდექსის 144-ე პრიმა „წამება“ და 144 ტერცია — „დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობა“ მუხლებით გათვალისწინებული ბრალდებით დაკავებულია ათი საჯარო მოხელე. მე-11-ს წარედგინა ბრალი დაუსწრებლად, — აღნიშნა მურთაზ ზოდელავამ.



# ვაშინგტონი სააკაშვილის სახეს კიდევ ერთხელ დაინახავს...

**International Friends of Georgia-მ გაავრცელა მიმართვა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:**

ძვირფასო თანამემამულენო! 29 სექტემბერს, ქ.ვაშინგტონში, თეთრი სახლის წინ ჩატარდება საქართველოს გულშემატკივართა მიტინგი, რომლის მიზანია მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების გაპროტესტება.მიტინგზე მონაწილეობას მიიღებს ათასამდე ქართველი და აფრო-ამერიკელი, 30-მდე მოწვეული სტუმარი (მხარდამჭერი პოლიტიკოსები და ცნობილი სახეებიძ. აქციაზე წარმოდგენილი იქნება ქართველი ხალხის მიერ შედგენილი და ხელმოწერილი პეტიცია, რომელიც ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას გადაეცემა. მიტინგს დაესწრებიან ამერიკის წამყვანი მედიის წარმომადგენლები, რომელნიც გააშუქებენ მიტინგის მსვლელობას, სადაც წარმოდგენილი იქნება საქართველოს ტოტალიტარული რეჟიმის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებების უტყუარი მტკიცებულებები. მიტინგზე მონაწილეობის მსურველთ მოემსახურება ავტობუსები, რომლებიც მგზავრებს მათთვის მოსახერხებელ ადგილას დაელოდება ნიუ-იორკში. ავტობუსების კოლონა გაჩერდება გაეროს შენობის წინ, მთავარ შესასვლელთან, ხანმოკლე მიტინგის დასრულებისთანავე გაეროს ყოფილი ელჩი ბ-ნი იუჯინ პურსო ქართველი ხალხის მიერ ხელმოწერილ პეტიციას გაეროში შეიტანს. ამის შემდგომ კოლონა ვაშინგტონისაკენ დაიძრება. ავტობუსებში იქნებიან მედიის წარმომადგენლები, რათა მგზავრებს მიეცეთ მათთან გასაუბრების საშუალება. თეთრი სახლის წინ მომიტინგეებს დახვდებათ დამონტაჟებული პოდიუმი და ფართოეკრანიანი მონიტორი. პოდიუმზე მსურველები სიტყვით გამოვლენ. მოსაზრებებს გამოთქვამენ მოწვეული სტუმრები. ეკრანზე ნაჩვენები იქნება სააკაშვილის რეჟიმის მიერ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულებანი: ახალი საარჩევნო კანონი, პატიმრების სადისტური წამება, ადამიანის უფლებათა დარღვევები პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ რასისტული გამონათქვამები, გამოუძიებელი მკვლელობები და ბევრი სხვ. ვიმედოვნებთ, რომ ტელეხიდის საშუალებით აქციას შეუერთდება კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი.მიტინგი დასრულდება პრეზიდენტ ბარაკ ობამასა და კონგრესისათვის ქართველი ხალხის მიერ ხელმოწერილი პეტიციის გადაცემით. იმისათვის, რომ ამერიკელი სტუმრები უფრო ახლოს გაეცნონ ქართულ სულსა და ცნობიერებას, თავის მხრივ ქართველებს კი მიეცეთ საშუალება არაფორმალურ ვითარებაში ამერიკელ მაღალჩინოსან და ცნობილ სახეებთან ურთიერთობისა, მოეწყობა ქართული კულტურის საღამო, ვაშინგტონის გარეუბანში, ერთ-ერთი ქართველი ემიგრანტის ოჯახში. კონტაქტებს უახლოეს ხანში შეგატყობინებთ.

IFG-ის ადმინისტრაცია

# კოკა წყალზე ტყდება...



**„ციხე მოძალადეებს. არ აწამო, იწამე ადამიანი“! – საპროტესტო აქციები, რომლებიც თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში პატიმართა წამების ამსახველ ვიდეოკადრებს მოჰყვა, გუშინ განახლდა. სასჯელაღსრულების გლდანის მე-8 დაწესებულებაში პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტების ამსახველი კადრები სამშაბათს გავრცელდა. საგანგებო განცხადება პირველად შსს-მ გააკეთა. სამინისტროს ინფორმაციით, პატიმართა მიმართ დამამცირებელი, ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტების ორგანიზებაში „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს მაჟორიტარობის კანდიდატი მამა თამაზ თამაზაშვილი ფიგურირებს. გამოძიების ცნობითვე, დანაშაულის დამკვეთ მხარესთან კონტაქტის უზრუნველყოფა თავდაპირველად თამაზ თამაზაშვილის, ხოლო შემდეგ თამაზ ელიზბარაშვილის მეშვეობით ხდებოდა.**

გამოძიების ამ ეტაპზე ბრალდებულად ცნეს და დააკავეს გლდანის მე-8 საპყრობილის ხელმძღვანელები და სხვა თანამშრომლები – ათი ადამიანი, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძე იძებნება.

პატიმრების წამების, ფიზიკური და მორალური შეურაცხყოფის ამსახველი უმძიმესი კადრები „მაესტრომ“ და მე-9 არხმა გაავრცელეს, ვიდეომასალიდან ჩანს, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები პატიმრებს სცემენ, არაადამიანურად ეპყრობიან და ცოცხით აუპატიურებენ. კადრების ეთერში გასვლის შემდგომ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა უწყების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ჭაკუა თანამდებობიდან გაათავისუფლა, მოგვიანებით კი პრემიერს თავისი გადადგომის წინადადებით მიმართა.

**„ჩემი მინისტრობის პერიოდში მაქსიმალურად შევეცადე და ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ ადამიანის უფლებები ყოფილიყო დაცული და რომ სასჯელაღსრულების სისტემა მაქსიმალურად შესაბამისობაში ყოფილიყო ევროპულ სტანდარტებთან, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ძალისხმევა არ იყო საკმარისი, იმიტომ, რომ ასეთ ფაქტებს ჰქონდა ადგილი, რაზეც ძალიან ვწუხვარ და არ აქვს მნიშვნელობა, ვისი ორგანიზებული იყო ეს ყველაფერი.**

**ადამიანურად ძალიან ვწუხვარ და მინდა ავიღო ადამიანური და, რა თქმა უნდა, პოლიტიკური პასუხისმგებლობა ამ ყველაფერზე. პატიმრების უფლებები აუცილებლად უნდა იყოს დაცული საქართველოში. ამისთვის ყველაფერი უნდა გაკეთდეს. მე შევეცადე, ყველაფერი გამეკეთებინა იმისთვის, რომ ადამიანის უფლებები ყოფილიყო დაცული, შევეცადე შევსულიყავი პატიმრების მდგომარეობაში, რაზეც მეტყველებს ის რეფორმები, რაც მიმდინარეობდა და მიმდინარეობს სამინისტროში. ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან ვწუხვარ ყველა დაზარალებულის გამო და იმედი მაქვს, ყველა დამნაშავე პირი დაისჯება სრული სიმკაცრით“,** – აღნიშნულია ხათუნა კალმახელიძის განცხადებაში.

პატიმართა წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა საგანგებო განცხადება გააკეთა.

პრეზიდენტი, მისივე თქმით, კადრების ხილვის შედეგად **„ძალიან გაბრაზებული და სულით ხორცამდე შოკირებულია“**.

**„ის, რაც მოხდა გლდანის ციხეში, არის შემზარავი აქტი ადამიანის უფლებებისა და ღირსების წინააღმდეგ. ყველა, ვინც ამის ორგანიზატორი და განმახორციელებელია, ყველა, ვინც ეს ჩაიდინა და დაუშვა, უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს. პოლიციას დაკავებული ჰყავს ამ საშინელებების ჩამდენთა უმრავლესობა და დანარჩენებიც წარსდგებიან მართლმსაჯულების წინაშე. შსს ადგენდა კავშირებს კარგად ცნობილ კრიმინალურ ავტორიტეტებსა და დამნაშავეებს შორის. ამ დანაშაულის ყველა მსხვერპლს უნდა ვუთხრა, რომ საქართველო, რომელსაც მე ვაშენებ ყველასთან ერთად, არ მოითმენს არც მსგავს დანაშაულს და არც რაიმე კლიმატს, რომელმაც რამე ამასთან მიახლოებული მოვლენა შეიძლება გამოიწვიოს. არ მოითმენს სისასტიკეს, თავგასულობას, იმას, რაც სამწუხაროდ, ყველამ ერთად ვიხილეთ. იმისთვის არ გვიბრძოლია ორგანიზებული კრიმინალური ჯგუფების წინააღმდეგ, რომ ამ ყველაფრის შემდეგ, მას შემდეგ, რაც პოლიციაში ამოვძირკვეთ წამება, ახლა უკვე პენიტენციარულ სისტემაში ვინმე კრიმინალური სამყაროდან აფათურებს ხელს, ან პენიტენციარული სისტემის კრიმინალებად ქცეული თანამშრომლები მონაწილეობდნენ ამგვარი აქტის ჩადენაში.**

**ის, ვინც პასუხისმგებელი იყო, რომ ამგვარი ფაქტები არ დაეშვა, ყველა გათავისუფლდება სამსახურიდან, ხოლო ის, ვინც ეს ჩაიდინა, გაძლევთ სიტყვას, მრავალ წელს გაატარებს ციხეში“,** – განაცხადა სააკაშვილმა.

თავის მართლებისა და უმრავლეს შემთხვევაში სხვაზე, ე. წ. „რუსეთის აგენტებზე“ დანაშაულის გადაბრალების მცდელობა პრეზიდენტის სიტყვაში ამჯერად არ გახმიანებულა. თვით პრეზიდენტმაც კი აღიარა, რომ რაც მოხდა, შემზარავი აქტია და ამის ჩამდენი ყველა ადამიანი „უმკაცრეს სასჯელს იმსახურებს“.

**„პირადად უზრუნველვყოფ, რომ ამ სისტემაში დაცული იყოს ადამიანის უფლებები, როგორც კრიმინალებისგან, ასევე სისტემის ისეთი თანამშრომლებისგან, რომლებიც ნამდვილი მაფიის წევრებივით მოქმედებდნენ“...** – განაცხადა სააკაშვილმა.

თუმცა, მას 2003 წელს ნათქვამი სიტყვები შეახსენეს. ფეისბუქზე გავრცელდა ინფორმაცია, რომ თურმე ჟურნალ „ტაბულის“ რედაქტორის, გიგა ბოკერიას ცოლის ფეისბუქის გვერდზე მიხეილ სააკაშვილის 9 წლისწინანდელი სიტყვა დაიდო:

**„როცა რიგითი პოლიციელი რამე უკანონობას სჩადის, ეს მთელი ქვეყნისთვისაა ცნობილი, და როცა მისი მინისტრი ზომებს არ იღებს, მაშინ ეს მინისტრი ისეთივე ნაძირალაა, როგორც ის პოლიციელი! და როცა მინისტრი ამას არ აკეთებს და პრეზიდენტი ამის გამო მას არ ათავისუფლებს პოსტიდან – მაშინ პრეზიდენტიც ნაძირალაა!“**

ფეისბუქზე „საქართველოს გზის“ ლიდერი **სალომე ზურაბიშვილი** წერს, რომ კოშმარი გველოდება, რადგან დაზუსტებული ინფორმაციით, დღეს ციხეებში არასრულწლოვანების ცემისა და გაუპატიურების კადრები გავრცელდება. იგი სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის გადადგომასაც მოითხოვს. **„გიორგი ტუღუში თავად გადადგეს, თუკი შეუძლია რამე სინდისის მაგალითი მაინც მოგვცეს, თუ არა, გაჩუმდეს სამუდამოდ“,** – წერს ზურაბიშვილი.

ძალადობის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა მომღერალმა **თამარ ჭოხონელიძემ.** მან უზნეობა უწოდა იმ ძალადობას, რაც პატიმრებზე ხორციელდებოდა და აღნიშნა, რომ ქართველმა ერმა ამ უწესობის წინააღმდეგ ერთად უნდა იბრძოლოს.

# მარტო მინისტრია ნაძირალა თუ პრეზიდენტიც?

## „ამ სისტემის შემქმნელი ახალაიაა, რომელიც უკვე ძალიან დიდი პრობლემაა საქართველოსთვის“




**„ყველას მოვუწოდებ, რომ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად, მოვიდნენ და ხალხთან ერთად დადგნენ. დები და მამები არ არიან?! როგორ არ გამოხატავენ ამ ყველაფრის წინააღმდეგ ძალიან დიდ პროტესტს. მე არ ვფიქრობ, რომ დღევანდელი აქცია უნდა გადაიქცეს არეულობაში. ყველაფერი თანამიმდევრულად უნდა მოხდეს და ეს უნდა იყოს ერთ-ერთი ეტაპი გამოხატვისა“,** – განაცხადა თამარ ჭოხონელიძემ.

გუშინ, 12 საათზე ფილარმონიის შენობასთან აქცია „არ აწამო“ განახლდა. უფლებადამცველი დაჩი ცაგურიას თქმით, მთავარი მოთხოვნები ისევ ძალაში რჩება. **„ვითხოვთ შს მინისტრის ბაჩო ახალაიას გადადგომას და პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ხათუნა კალმახელიძის გადადგომა არ არის საკმარისი. უნდა დაისვას მისი პასუხისმგებლობის საკითხიც. უნდა დაისაჯოს ყველა ის პირი, ვინც ამაში მონაწილეობდა. უნდა განსაჯაროვდეს მათი სახელები და გვარები, უნდა გამოძიებულ იქნას სხვა საქმეებიც, რომელთა შესახებაც მუდმივად ვრცელდებოდა ინფორმაცია“.**

აქციაზე შეკრებილი პატიმართა მშობლები, მწერლები, სასულიერო პირები, პოლიტიკოსები, ყოფილი პოლიტპატიმრები აღშფოთებას გამოხატავდნენ პენიტენციარულ სისტემაში შექმნილი მდგომარეობის გამო. **„ახალაია ფაშისტი“, „ავადმყოფი პრეზიდენტი“** – გაისმოდა შეძახილები.

**„ცხრა წელიწადია ჯოჯოხეთში ვარ. ხალხის გაერთიანებას ველოდები. მარტო მეც და სხვასაც გამაქრობენ. ეს ფაშისტები ყველას დედას უტირებენ“...** – ცხაროზდა ყოფილი პოლიციელი. იქვე მდგარი საშუალო ასაკის ქალბატონები მთლიან ნაციონალურ მოძრაობას ასახელებდნენ ყველა უკეთურების მიზეზად და ამბობდნენ, რომ ვერ წარმოუდგენიათ, ამ ყველაფრის შემდეგ ვინ მისცემს ხმას №5-ს.

**„ხელფასს აიღებ, ერთი კვირის სამყოფია. სამი კვირა კი მშიერი დადიხარ. ეს ციხე არ არის, აბა, რა არის?“** – ამბობდა ერთი ქალბატონი. ხოლო მეორე ქალბატონმა მთხოვა, ჩამეწერა: **„ამათი დასჯა, შვილო, როგორ შეიძლება იცი? ნაწამებ პატიმრებს უნდა ჩაუგდო სააკაშვილი, ახალაია, ბოკერია, თუთბერიძე“...**

**ზურაბ აბაშიძე,** პოლიტიკოსი:

**„გუშინ რაც ვნახეთ და რაც წლების განმავლობაში პენიტენციარულ სისტემაში ხდებოდა, ამის თავი არის სააკაშვილი, მერაბიშვილი, ახალაიების კლანი, ადეიშვილი, მათ შექმნეს ეს სისტემა და ყველამ პასუხი უნდა აგოს. 1 ოქტომბერს ყველანი პასუხს აგებენ ხალხის წინაშე და მერე სამართლიანი სასამართლოს წინაშე. მინისტრი გადადგა, მაგრამ ამ შემთხვევაში მინისტრი არ არის ის ფიგურა, რომელიც რეალურად მართავდა ამ სამინისტროს. მართავდა ახალაია, შინაგან საქმეთა მინისტრი, ყოფილი თავდაცვის მინისტრი, მერაბიშვილი, ადეიშვილი და თავად სააკაშვილი. მათ შექმნეს ასეთი სისტემა ამ ქვეყანაში და მივიღეთ ის, რაც ვნახეთ. თავი და თავი კი სააკაშვილია. ეს არის რეალობა“.**

**ირაკლი ბათიაშვილი:**

**„ბაჩო ახალაია, დათა ახალაია, ვანო მერაბიშვილი, კალმახელიძე – ყველა ესენი გადასაყენებელნი კი არა, პასუხისგებაში მისაცემი არიან. ეს ყველამ კარგად იცის. ახლა უნდათ საქმის ისე შემოტრიალება, კალმახელიძე წავიდეს და ჩვენ ვიყოთ ბედნიერნი. ამით არ მთავრდება. ბოკერია არის ადამიანის უფლებების დამცველი? ეს ყველაფერი, დღიდან მოსვლისა, ამ სისტემამ დანერგა“.**

**ჯანსუღ ჩარკვიანი: „მთელი ღამე არ მძინებია. კი ვიცოდი მსგავსი რაღაცები, მაგრამ ასე თუ ჩაწერდნენ და გადმოსცემდნენ, წარმოდგენა არ მქონდა. დღეს მთავარია ქართველი ხალხის გამთლიანება, იმას უნდა მიხვდნენ, რომ გუშინდელი პალოები ამათ უკან შეტენონ. პრეზიდენტიდან მოყოლებული, ვინც ამ უბედურებას ხელმძღვანელობს. ასეთი საშინელება საქართველოში ჯერ არ ყოფილა. ამას მსოფლიო გაიგებს, მიხვდებიან, რომ საქართველოში ბოროტება სუფევს, რომ ბოროტებამ არ უნდა გაიმარჯვოს, რომ ქართველი ხალხი არ არის ამის ღირსი, მაგრამ ის ხალხი, ვინც გარეთ ვერ კი არა, არ გამოდის, ამის ღირსია...**

**ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ძმა ძმის მტერია. მარტო ქართველმა თქვა მთელ მსოფლიოში, ჩვენ ერთმანეთს ვმტრობთ და სანამ ერთმანეთს ვმტრობთ, მანამ ჩვენი მტრები ხელისუფლებაში მოგვერევიან. მე მაინც იმედი მაქვს, ხვალ მთელი საქართველო ფეხზე დადგება, ერთად იქნებიან, რომ გადაარჩინონ მომავალი, რომ მარიამის წილხვედრი ქვეყანა ისევ აყვავდეს ამ ქვეყანაზე“.**

**ირაკლი ტაბლიაშვილი,** ჟურნალისტი:

**„ეს არის სამოქალაქო პროტესტი. სამოქალაქო საზოგადოების გამოსვლა ქუჩაში და საკუთარი აღშფოთების დადასტურება იმის გამო, რასაც რეჟიმი და პენიტენციარული სისტემის წარმომადგენლები აკეთებენ. ქალბატონი ხათუნა კალმახელიძის ზვარაკად შეწირვა ცხადია, არ კმარა, მით უფრო, რომ კალმახელიძემ საკუთარი ნებით გაავრცელა განცხადება. უნდა გახმიანებულიყო – მოიხსნას, რაც სამწუხაროდ არ მოხდა. ამ სისტემის შემქმნელია ახალაია, რომელიც ძალიან დიდი პრობლემაა უკვე ქვეყნისათვის. გარწმუნებთ, თუ ახალაია ახლა არ იქნება განთავისუფლებული, 2 ოქტომბრიდან გაცილებით დიდ პრობლემად იქცევა ქვეყნისთვის.**

**რამაზ საყვარელიძე:**

**„თანამდებობები ხათუნა კალმახელიძის გარდა შინაგან საქმეთა მინისტრმა და სხვა მაღალჩინოსნებმაც უნდა დატოვონ“,** – განაცხადა პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ.

**„შემაშფოთებელი და შემზარავი რბილი ფორმულირებაა იმისა, რა შთაბეჭდილებასაც გავრცელებული ვიდეომასალები ტოვებენ. შემზარავია არა მარტო ის, რაც ციხეში ხდება, არამედ ის მექანიზმი, რითაც ეს ხდება. არაერთხელ თქმულა სხვადასხვა სიმაღლიდან, მათ შორის პარლამენტის ტრიბუნიდან, რომ ეს ხდება წლების განმავლობაში და ამაზე არანაირი რეაქცია არ მომხდარა. ეს უკვე ნიშნავს, რომ ის, რაც ხდებოდა, უმაღლესი ხელისუფლების მიერ ნებადართულია“.**

**საპროტესტო აქციის მონაწილეებმა ხელისუფლებას რამდენიმე ულტიმატუმი წაუყენეს. აქციის მონაწილეები ითხოვენ სასჯელაღსრულების უკვე ყოფილი მინისტრის ხათუნა კალმახელიძის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემას, ასევე სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის დაკავებას.**

აქციის მონაწილეებმა მოითხოვეს დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარება, ასევე მოითხოვეს დაცული იქნან იმ პირების ოჯახები, რომლებმაც კადრები გაავრცელეს.

პრეზიდენტმა კი საგანგებო თათბირზე სისტემის კონტროლი ვანო მერაბიშვილს დაავალა.

**„სიტუაცია ბევრად უფრო სერიოზულია, ვიდრე ეს მთავარი პროკურატურის ან შსს კომპეტენციას ეხება. პენიტენციარული სისტემა მთლიანად გასაუქმებელი და ახლებურად ჩამოსაყალიბებელი, გადასახალისებელია. ეს უნდა მოხდეს ისევე, როგორც პატრულში“,** – განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტმა ვანო მერაბიშვილს სხვა დანარჩენი საქმის გადადება და სისტემის კონტროლზე აყვანა დაავალა.

**ამასობაში სასჯელაღსრულების მე-8 დაწესებულებაში მომხდარი პატიმრების წამების ფაქტზე მთავარმა პროკურატურამ 10 საჯარო მოხელე დააკავა. გამოძიების ამ ეტაპზე, მთავარი პროკურორის მურთაზ ზოდელავას თქმით, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ბრალდებით დაკავებულნი არიან: გაგა მკურნალიძე, დავით ხუჭუა, ვიქტორ ყაჭეიშვილი, ლევან ფურცხვანიძე, გიორგი კვარაცხელია, ოლეგ ფაცაცია, მანუჩარ ლომთაძე, გელა ცომაია, ლევან ფხალაძე და ბორის ფარულავა. რაც შეეხება მეთერთმეტე პირს – ვლადიმერ ბედუკაძეს, რომელმაც წამების კადრები გაავრცელა და ამჟამად ბრიუსელში იმყოფება, მას ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს და ის ამჟამად ძებნილია.**

**ნატა ნიბლაძე**

№180. ხუთშაბათი, 20 სექტემბერი, 2012 წელი.

# აბუგრეიბი-2, ანუ გლდანის ციხე

**გლდანის მე-8 საპყრობილიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეულ თანამშრომელთა მიერ პატიმართა მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.**

ამის შესახებ ინფორმაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა. შსს-ს ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ერთობლივად განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, ოპერატიული მორიგე ინსპექტორი ვლადიმერ ბედუკაძე (ბედუკაძე გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან 2012 წლის მაისში) და მათი გავლენის ქვეშ მყოფი რამდენიმე პირი, წინასწარ შემუშავებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, ახორციელებდა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, რასაც იღებდნენ ვიდეოფირზე.

**„მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისად დადგენილ იქნა, რომ პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ორგანიზების, მათი ვიდეოფირზე დაფიქსირების და სოლიდური ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ დამკვეთებისათვის გადაცემის შეთავაზება საპყრობილის თანამშრომლებმა მიიღეს ამავე საპყრობილეში განთავსებული თამაზ თამაზაშვილისაგან. ამ ეტაპზე გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ დანაშაულის დამკვეთ მხარესთან კონტაქტის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა თავდაპირველად თამაზ თამაზაშვილის, ხოლო შემდგომ თამაზ ელიზბარაშვილის მეშვეობით“,** — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ამასთანავე, შსს-ს ინფორმაციით, ლევან ფურცხვანიძის სამუშაო კაბინეტის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირი და 17 000 აშშ დოლარი და არსებობს ვარაუდი, რომ გარდა აღნიშნულ ფირზე ასახული ფაქტისა, ჩადენილია სხვა ანალოგიური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება.

გამოძიების ამ ეტაპზე ბრალდებულებად იქნენ ცნობილი და დაკავებული არიან გლდანის მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, განყოფილების კონტროლიორი ლევან ფხალაძე და განყოფილების ინსპექტორი ბორის ფარულავა, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძის მიმართ გამოცხადებულია ძებნა.

ამის პარალელურად შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოპერატიული მასალა, სადაც ჩანს, როგორ სცემენ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ორ პატიმარს, აიძულებენ მათ ე.წ. „კანონიერ ქურდებს“ შეაგინონ და ე.წ. „დუბინკების“ გამოყენებით გაუპატიურებით ემუქრებიან. ამასთანავე, შსს-ს მიერ გავრცელებულ ვიდეომასალაში ბრალდებულები საუბრობენ, როგორ დაავალეს მათ პატიმრების ცემა და ამ ფაქტების ვიდეოფირზე აღბეჭდვა და ამის სანაცვლოდ სოლიდურ თანხას შეპირდნენ. ბრალდებულების განცხადებით, მათთან კონტაქტს ბელგიაში მყოფი მათი ყოფილი თანამშრომელი ლადო ბედუკაძე ამყარებდა, რომელიც ამ პიროებებს თამაზაშვილის დავალებით სთავაზობდა.

გთავაზობთ ერთ-ერთი ბრალდებულის ლევან ფურცხვანიძის ჩვენებას, რომლის ვიდეოჩანაწერიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა.

**„ლადო ბედუკაძემ, რომელიც ჩემთან ციხეში ოპერატიულ მორიგედ მუშაობდა, გარკვეული პერიოდის წინ მითხრა, რომ მან ახლო კავშირი დაამყარა პატიმარ თამაზ თამაზაშვილთან, რომელთანაც ადრე ძველი ნაცნობობა აკავშირებდა. თამაზაშვილმა ლადოს შესთავაზა, თუ ის მოახდენდა პატიმრების ცემის ფაქტს და გადაიღებდა ვიდეოზე, მას სოლიდურ თანხას მიაწვდიდნენ. ამის შემდეგ ფირზე გადაღებული იქნა ასეთი ფაქტი. რამდენიმე ხნის შემდეგ ლადო განთავისუფლებული იქნა სამსახურიდან და დამიბარა, თუ ასეთ ფაქტს გადავიღებდი, სოლიდურ თანხას მივიღებდი. ერთ-ერთი ფაქტი გადაღებული იქნა გუშინ, რაც უცხოეთში ლადო ბედუკაძისთვის უნდა გამეგზავნა“,** — ამბობს ლევან ფურცხვანიძე.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულმა განცხადებამ უფლებადამცველებში მაშინვე გარკვეული ეჭვები გააჩინა, რომ ეს ყველაფერი უბრალოდ პროვოკაცია იყო.

**„ხომ ნახეთ, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერში რაღაც თანხებზე იყო საუბარი. ამდენად, როგორც ჩანს, ჩვენი ხელისუფლება რაღაცას აპირებს. ამ ჩანაწერში ის გაქსუებული რაღაც სისულეებს რომ ყვება, იმის მონაყოლი რეალობას გავდა? რად უნდა ამას ლაპარაკი, რომ ეს წმინდა წყლის პროვოკაციაა. არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები ვინმეს დაესაჯა. უჩა გოდელაძეს გაგახსენებთ, რომელიც 2009 წელს ციხეში წამებით მოკლეს, მისი წამების ფაქტზე ერთი ადამიანიც კი არ დასჯილა და საქმეც კი არ არის აღძრული“,** — განაცხადა უფლებადამცველმა ლალი აფციაურმა **for.ge**-სთან საუბარში.

მოგვიანებით ეს ეჭვები ახალი ვიდეო-მასალით დადასტურდა, რომელიც ჯერ ტელეკომპანია „მაესტრომ“, შემდეგ კი „მეცხრე არხმა“ გაავრცელეს. კადრებში პატიმრების წამების და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებია ასახული. „მეცხრე არხის“ მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, თუ როგორ აუპატიურებენ პატიმარს. ტელეკომპანია „მაესტროს“ მიერ გავრცელებულ კადრებში კი ნაჩვენებია, როგორ სცემს პატიმარს სასჯელაღსრულების 15-მდე თანამშრომელი. კადრები არის ძალიან მძიმე და უფლებადამცველების განცხადებით ვიდეომასალაში გლდანის ციხის რამდენიმე მაღალჩინოსანი ჩანს. კადრების გავრცელების შემდეგ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის პირდაპირ ეთერში სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ განაცხადა, რომ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელი დავით ჭაკუა თანამდებობიდან გადააყენა, ხოლო რამდენიმე პირი, რომელიც შსს-სა და „მაესტროს“ მიერ გავრცელებულ ვიდეოებში ფიგურირებს, დაკავებულია, რამდენიმეზე კი ძებნაა გამოცხადებული. ხათუნა კალმახელიძის განცხადებით, კადრები, რომლებიც იხილა, მისთვის შემზარავია.

**„რამდენიმე კვირაა, რაც შსს-ს მიერ მიმდინარეობს გამოძიება სასჯელაღსრულების სისტემაში მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევის შესახებ და გამოძიებამ საკმაოდ შემზარავი სურათი გვაჩვენა. ეს შემაშფოთებელია. შემზარავია ისიც, რომ ადამიანის უფლებების დარღვევების შეკვეთა და მისი დაფიქსირება ხდებოდა პოლიტიკურად მოტივირებული პირების მიერ. შესაბამისად, ჩვენთვის ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი.**



**არავითარ შემთხვევში არ მოვითმენთ ადამიანის უფლებების დარღვევას, კადრები, რომელიც ვიხილეთ არის ერთიანი საქმის ნაწილი და ჩვენი უპირველესი პრიორიტეტია ის, რომ ყველა პირი, რომელმაც მსჯავრდებულთა უფლებების დარღვევა მოახდინა, იყოს დასჯილი“,** — განაცხადა კალმახელიძემ.

ამდენად, ხელისუფლება პირველ ჩვენებას იმეორებს და აცხადებს, რომ პატიმრების წამების ფაქტები პოლიტიკურად მოტივირებული პირების მიერ არის ინსპირირებული. ქართულ საზოგადოებაში კი გაჩნდა ეჭვი იმისა, რომ ხელისუფლებამ აირჩია ტაქტიკა — თავის დაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა. კერძოდ, ხელისუფლებისთვის ცნობილი გახდა, რომ პატიმრების წამების ამსახველი ვიდეომასალა დამოუკიდებელ ტელეკომპანიებს ჩაუვარდა ხელში და იგი საჯარო გახდებოდა. ამიტომ დაასწრო ამ ფაქტების გახმაურებას და ის განცხადება გაავრცელა, რომელიც ზემოთ შემოგთავაზეთ.

ექსპერტები და უფლებადამცველები მიიჩნევენ, რომ ამით ხელისუფლება ორი მიზნის მიღწევას შეეცადა. პირველი არის პასუხისმგებლობის თავიდან აცილება, ხოლო მეორე ამ სკანდალის სათავისოდ გამოყენება და თამაზ თამაზაშვილთან დაკავშირების მეშვეობით „ქართულ ოცნებასთან“ მისმა, ანუ საზოგადოებრივი აზრის და რისხვის სხვა მხარეს მიმართვა. თუმცა, მმართველ გუნდს რეპუტაცია იმდენად აქვს შელახული, რომ ამგვარი პიარაქციების აღარავის სჯერა. გლდანის ციხესთან სალამოს პატიმრების ოჯახის წევრები, უფლებადამცველები და პოლიტიკოსები შეიკრიბნენ. საპროტესტო აქციის მონაწილეები ხათუნა კალმახელიძის დაუყოვნებლივ გადადგომას და პატიმრების წამებაში დამნაშავე ყველა პირის დასჯას ითხოვენ.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების წამება და მათ მიმართ არაადამიანური მოპყრობა უკანასკნელ წლებში ერთ-ერთ ყველაზე აქტუალური პრობლემაა, მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ, რომ ქართულ ციხეებში პატიმრების რაოდენობა სულ უფრო მატულობს და ვერც ახალი აშენებული თითზე ჩამოსათვლელი რაოდენობის დაწესებულება ამ პრობლემას ვერ შველის. პატიმრებს ისევ უწევთ რიგ-რიგობით ძილი, არ აქვთ წვდომა ჯანდაცვაზე, და რაც ყველაზე მთავარია, მუდმივად ხდება მათი ცემა-წამება. გავრცელებული ინფორმაციით, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სასჯელაღსრულების დაწესებულებებში 600-ზე მეტი პატიმარი გარდაიცვალა და უმრავლეს შემთხვევებში არსებობს მტკიცებულებები იმისა, რომ ეს პატიმრები ბუნებრივი სიკვდილით არ გარდაცვლილან. უკეთეს შემთხვევებში, ისინი მძიმე ავადმყოფობისა და ციხის ადმინისტრაციის მხრიდან უყურადღებობის მსხვერპლნი ხდებიან. უარეს შემთხვევაში კი წამების შედეგად არიან გარდაცვლილები, რაც მათ სხეულებზე დაზიანებების არსებობით დასტურდება.

ქართულ პენიტენციურ სისტემაში არსებული უმძიმესი მდგომარეობა უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთხელ მოხვედრილა საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციების (როგორიც არის „Human Rights Watch“, „Amnesty International“ და სხვების) ანგარიშებში, სადაც ერთმნიშვნელოვნად არის ხოლმე ნათქვამი, რომ ქართულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში პატიმრების მიმართ სასტიკი და არაადამიანური მოპყრობა ხორციელდება. ყველაფერ ამის ფონზე მთელი ამ პერიოდის განმავლობაში არც ერთი ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენელი დასჯილი არ ყოფილა.

რაც შეეხება ამ ყველაფრის თამაზ თამაზაშვილთან დაკავშირებას, „ქართულ ოცნებაში“ მიიჩნევენ, რომ ამით ხელისუფლება კოალიციისა და მისი ლიდერის დისკრედიტაციას ცდილობს. „ქართული ოცნების“ ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე თედო კობახიძე ამბობს, რომ უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში, მათ შორის იქამდე, სანამ ბიძინა ივანიშვილი და კოალიცია „ქართული ოცნება“ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩნდებოდა, მუდმივად ხდებოდა პატიმრების ცემა-წამება და ამიტომ თამაზაშვილი აქ არაფერ შუაშია. კობახიძე აცხადებს, რომ თამაზ თამაზაშვილის ბრალეულობის დამადასტურებელი არანაირი მტკიცებულება სამინისტროს არ გააჩნია.

**„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლები პატიმრებს აწამებენ და სამინისტროს აბსოლუტურად ვეთანხმებით იმაში, რომ პენიტენციურ სისტემაში პატიმრებს მუდმივად აწამებენ. ხათუნა კალმახელიძის უწყებაში პატიმრებს აწამებდნენ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე „ქართული ოცნება“ და მისი ლიდერი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩნდებოდნენ. უფლებადამცველები და მთელი არასამთავრობო სექტორი სწორედ ამას ვაპროტესტებდით ყოველთვის, რომ ციხეებში ადამიანებს სასტიკად აწამებენ. ასეულობით შემთხვევები გვაქვს, როდესაც პატიმრებს გაურკვეველ ვითარებაში კლავენ და მე ამის თქმა არ მომერიდება, რადგან ამის არაერთი მტკიცებულება არსებობს“,** — აცხადებს თედო კობახიძე.

მისი თქმით, ქართულ ტელესივრცეში უკვე რამდენიმე კვირაა თამაზ თამაზაშვილთან დაკავშირებით ვიდეორგოლები ტრიალებს, რომლებიც მის დისკრედიტაციას ისახავენ მიზნად. თედო კობახიძე ხაზს უსვამს იმას, რომ თამაზაშვილის სიძე, ირაკლი ღარიბაშვილი „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი სახეა და საპარლამენტო სიის პირველ ათეულშია. ამასთანავე, თამაზ თამაზაშვილის შვილი, ლექსო თამაზაშვილი დედოფლისწყაროს მაჟორიტაროზის კანდიდატია „ქართული ოცნებიდან“. ამიტომ კობახიძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ცდილობს, ეს ოჯახი კრიმინალებად წარმოაჩინოს, რათა ამით „ქართულ ოცნებას“ და მის ლიდერს ჩირქი მოსცხოს, თითქოს მას თავის გუნდში უღირსი ადამიანები ჰყავს.

თედო კობახიძე გამორიცხავს, რომ, შესაძლოა, მთელი ეს კამპანია საბოლოო ჯამში ბიძინა ივანიშვილის რაიმეში დადანაშაულებას ისახავდეს მიზნად.

**„ბიძინა ივანიშვილს არ სჭირდება ციხის საკანში რაღაც სცენების დადგმა. მას ბევრად უფრო მეტი და უფრო მნიშვნელოვანი საფიქრალი აქვს, ვიდრე ციხის საკანში რაღაც შოუების დადგმაა. სცენების დადგმა სწორედ ხელისუფლებას ეხერხება და არაერთი ასეთი სცენა გვახსოვს, მაგალითად, ე.წ. მოდელირებული ქრონიკა, რომლითაც მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო და მეორე ომი დაატეხა თავს. შოუების დადგმა ჩვენ არ გვჭირდება და მით უმეტეს, არ ხელგვეწიფება (სამწუხაროდ, თუ საბედნიეროდ) მათ მიერ კონტროლირებად უწყებებში, სადაც მათ გარეშე ბუზი არ ფრინავს და ინფორმაციაც კი არ გამოდის, იქ ვერანაირ სცენას ვერ დავდგამდით. ყველაფერი ეს ემსახურება ერთდაერთ მიზანს — წარმოაჩინონ ისე, რომ ადამიანი, რომელსაც „ქართული ოცნების“ ლიდერი ენდობა, და ასევე ამ ადამიანის ოჯახი საზოგადოებაში რაიმე ღირსეულ ადგილს არ უნდა იკავებდნენ. სინამდვილეში ეს ადამიანები ღირსეულები, ქვეყნის პატრიოტები და საქართველოს კეთილდღეობისკენ მოწოდებულები არიან. ხელისუფლებაში კი არიან კრიმინალები, რის დასადასტურებლადაც თუნდაც გირგვლიანის საქმის გახსენებაც კმარა, როდესაც მისი მკვლელობისთვის თითქოს პასუხისგებაში მისცეს ადამიანები და შემდეგ ჩვენ ვნახეთ ვიდეოჩანაწერები, სადაც ჩანს შამფურზე წამოცმული ცხელცხელი მწვადებით როგორ ანებივრებდნენ მათ. ეს ჩანაწერები საჯარო გახდა, მაგრამ ამაზეც პასუხი არავის მოეთხოვა“,** — ამბობს თედო კობახიძე.

**მისი თქმით, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში პენიტენციურ სისტემაში ეს პრობლემები აღარ იარსებებს და ყველა დამნაშავე დაისჯება და არ მოხდება ისე, როგორც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მოხდა, როდესაც შევარდნაძის ხელისუფლების მაღალჩინოსნები დაუსჯელები დარჩნენ.**

რუსიკო უშიკიშვილი

# ვის უნდა საქართველოს „უკან დაბრუნება?“

**„ყველა ერთისათვის“ — ასე შეიძლება შევაფასოთ საქართველოს საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდი. ვინ არ იმყოფებოდა საქართველოში და ვინ არ იქნება ერთი თვის განმავლობაში. ვიზიტებს ტონს უდებს სტრატეგიული პარტნიორი, რომელიც ხან სენატორებით, ხან კონგრესმენებით, ხან სახელმწიფო დეპარტამენტის მაღალჩინოსნებით ლაშქრავს საქართველოს.**

და არა მარტო ისინი აქტიურობენ, არამედ, მისივე მითითებით, ევროპული ქვეყნებიც, განსაკუთრებით ამ კონტინენტის აღმოსავლეთით მდებარე, სულ რაღაც 20-25 წლის წინათ საბჭოთა „ძმურ“ ოჯახში შემავალნი. ისინი ვაშინგტონის დაძახილის გარეშეც მზად არიან, პოლიტიკური დახმარება აღუთქვან საქართველოს ხელისუფლებას თბილისში ჩამოსვლით და ნაცთა სასარგებლო განცხადებების გაკეთებით.

ვიზიტორთა შორის განსაკუთრებული სახელისუფლებო ენაწყლიანობით ბალტიისპირა ქვეყნები გამოირჩევა. მათი დამოკიდებულება ამერიკული სააკაშვილის მიმართ მხოლოდ პოზიტიურია, ვინაიდან მსგავსი ანტირუსულად განწყობილი ლიდერის პოვნა სრულიად შეუძლებელია. ბალტიისპირა ქვეყნებისათვის, რომლებიც დღენიადაგ რუსეთის საწინააღმდეგო რიტორიკით ირთობენ თავს და ართობენ ოკეანისგადაღმელ პოლიტელიტას, სააკაშვილისთანა პარტნიორი შეუფასებელია.

ეს ის ქვეყნებია, რომლებიც თავიანთი ნეგატიური დამოკიდებულების გამოხატვას საბჭოთა კავშირის დროსაც არ ერიდებოდნენ. ასე, რომ ევროკავშირ - ამერიკით მხარდაჭერილები საბჭოთა მეომრების ძეგლებსაც იღებენ, მათ ნაცვლად ნაცისტების ძეგლებსაც დგამენ, ნაცთა პარადებსაც მართავენ და რუსთა უმცირესობას უუფლებოთა მდგომარეობაში აყენებენ.

**დასავლელებს მოსწონთ სააკაშვილის ანტირუსული პოლიტიკა, მისი რუსეთის საწინააღმდეგო პროვოკაციული გამოხდომები. რომ იტყვიან ფერი — ფერსა, მადლი — ღმერთსა. ასეთი იდილიაა შექმნილი მათ შორის. მაგრამ მარადიული არაფერია, მით უმეტეს სხვის სიძულვილზე აგებული, ამიტომაც ეს ურთიერთობა რომ გახანგრძლივდეს, ძალისხმევაა საჭირო, თორემ ვინ იცის, იქნებ საპარლამენტო არჩევნებმა არასასურველი შედეგი დადოს? და აწყობილი ურთიერთობა დაიშალოს?**

დასავლელთა აზრით, რაც არ უნდა პროდასავლური იყოს ქართული ოპოზიცია — სააკაშვილისნაირი ვერასდროს იქნება. დასავლეთმა კარგად იცის, რომ სააკაშვილისთანა მონაპოვარს გაფრთხილება სჭირდება, ამიტომაც მოუხშირა მან საქართველოში ვიზიტები. ერთის შეხედვით უარყოფითი ამაში არაფერია, მაგრამ უარყოფითია, როდესაც სტუმარი თავს უფლებას აძლევს საჯაროდ ჭკუა ასწავლოს მასპინძელს და მოუწოდოს წაგების შემთხვევაში წაგებულმა უმალ აღიაროს დამარცხება და ალასანიასავით (ადგილობრივი არჩევნების გამარჯვებულს მიულოცოს.

ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, როგორც ჩანს, არ იცის საქართველოში არსებული ვითარება. მისი ცოდნა მხოლოდ ნაცთა ინფორმაციას ეყრდნობა და არა რიტუალად ქცეულ ოპოზიციასთან შეხვედრის მონაცემებს. ოპოზიციის მოსმენისთვის (ყველას ერთადძ გამოყოფილი 40-45 წუთი ვერაფრით გადაწონის ნაცთა 24-საათიან მასპინძლობას — ქართული დახუნძლული სუფრებითა და დიმპიტაურით. სააკაშვილმა იცის სტუმრის მოხიბლვის მეთოდი — საკუთარი ვენახით, საწნახლით, მაჭრით, ჭაჭით, პროფესიონალი მომღერლებით და ა.შ.

სტუმრის გაფეტიშება ქართველთა ძირძველი ტრადიციაა, თუმცა, არა მარტო ქართველთა. ხშირად ჩვენი მზერა მიუპყრია აფრიკის ამა თუ იმ ქვეყანაში ნახევრად შიშველ, შუბებით შეიარაღებულ მოცეკვავეთა ტრაპთან დახვედრის ცერემონიალს. მოსწონს სტუმარს ეგზოტიკა. ძველი თაობის წარმომადგენლებს ემახსოვრებათ საბჭოთა საქართველოს „დიდი მოყვარულის“ ნიკიტა ხრუშჩოვის ვიზიტი და მის პატივსაცემად გამართულ ბანკეტზე წარმოთქმული სიტყვები — „ქართული კერძები ისე ოსტატურადაა შეკმაზული, ლურსმანიც კი გემრიელად მოგეჩვენებათო“. ჰოდა ასეთი პურ-მარილით გაჯერებულ შემოდგომის საქართველოს — რა აუგი ეთქმის?

> **დასავლელებს მოსწონთ სააკაშვილის ანტირუსული პოლიტიკა, მისი რუსეთის საწინააღმდეგო პროვოკაციული გამოხდომები. რომ იტყვიან ფერი — ფერსა, მადლი — ღმერთსა. ასეთი იდილიაა შექმნილი მათ შორის. მაგრამ მარადიული არაფერია, მით უმეტეს სხვის სიძულვილზე აგებული, ამიტომაც ეს ურთიერთობა რომ გახანგრძლივდეს, ძალისხმევაა საჭირო, თორემ ვინ იცის, იქნებ საპარლამენტო არჩევნებმა არასასურველი შედეგი დადოს? და აწყობილი ურთიერთობა დაიშალოს?**

სწორედ ამ პურ-მარილის მარადისობისკენ მოგვიწოდებენ „ძვირფასი“ დასავლელები, დაეჭვებულები ქართული „საამური“ ცხოვრების მარადისობაში. პრობლემებს ვიღაც მილიარდერი ქმნის, რომელსაც სურს წარსულში დაბრუნება, მერაბიშვილისა არ იყოს — უშუქობაში, უწყლობაში, კრიმინალურ ატმოსფეროში და რაც მთავარია, რუსეთის ორბიტაზე.

როცა ესოდენ მძაფრ ინფორმაციას ღებულობ მეგობარი სახელმწიფოს შესახებ, უმალ მოახტები თვითმფრინავს ისე, როგორც რუსი ჯარისკაცები მოახტნენ ფოთში „БТР“-ებს სააკაშვილის დასაჭერად და თბილისს მოაშურებ.

ჩამოსულ სტუმართა გონება წინასწარ არის ნაცთა პროპაგანდით დამუშავებული, თუმცა არც მათ აქვთ სხვა მოსაზრება ივანიშვილის „მზაკვრულ“ გეგმასთან დაკავშირებით, რომელიც არჩევნების შემდეგ რევოლუციას გვპირდება. და რომ ეს არ მოხდეს, შვედეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი კარლ ბილდტი მზად არის გააფრთხილოს ოპოზიცია დამარცხების შემთხვევაში დედის რძესავით შეირგოს ყოველივე. ბილდტმა და სხვა მისმა დასავლელმა კოლეგებმა ნაკლებად იციან (შეიძლება იციან, მაგრამ მათთვის ამჯერად ასე სჯობსძ იმ მანკიერი საარჩევნო პროცედურების შესახებ, რომლის მიხედვით გამარჯვებული — არჩევნების ორგანიზატორია.

**ბილდტმა არც ის იცის, რომ პირველი ოქტომბრის გაუმჭვირვალე და არადემოკრატიული არჩევნები მრავალი წლით გაახანგრძლივებს ნაცთა ანტისახალხო მმართველობას, მაგრამ იქნებ იცის და სწორედ ამიტომაც გვმოძღვრავს — შეეგუეთ არჩევნების შედეგებსო?**

უფრო ღრმა და „საფუძვლიანი“ იყო ესტონეთის თავდაცვის მინისტრის განცხადება საქართველოსთან მიმართებაში. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს ხელისუფლების უდიდეს წვლილზე ნატოსთან მჭიდრო თანამშრომლობის საქმეში. მინისტრის აზრით, საქართველო ყველა პარამეტრით აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს და ის უნდა იყოს ნატოს წევრი, მიუხედავად იმისა სურს თუ არა ეს რუსეთს.

მინისტრმა „ამხილა“ კრემლის ზრახვები საქართველოს წინააღმდეგ და რუსეთის სამხედრო წვრთნები „კავკასია-2012“ „ორგანულად“ გადააბა პარლამენტის არჩევნებს, არეულობას, საქართველოში შემოჭრას და, რაც მთავარია, ივანიშვილს — მინისტრის ვარაუდით, საქართველოში რუსეთის დასაყრ-



დენს. მაღალჩინოსანმა ესტონელმა ამ ქვეყნის პოლიტიკოსთა წინასწარმეტყველური ნიჭის კიდევ ერთ გამოვლინებას მისცა გასაქანი და დასავლური გაზეთების საშუალებით მთელ მსოფლიოს გაანდო ბრძნული აზრები „სახიფათო“ სამკუთხედის თაობაზე — რუსეთი-საქართველო-ივანიშვილი.

ორ მზაკვარს შორის მოქცეულ სააკაშვილის საქართველოს დასავლური დახმარება და მხარში დგომა ესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაამხობს მილიარდერი ბიზნესმენი - რუსეთში დაფრთიანებული, ორთოდოქსული იდეების მატარებელი. საქართველოში მოხდება საბჭოურის მსგავსი სისტემის რეანიმაცია, ეს ქვეყანა დაიკარგება დასავლეთისათვის.

რუსეთის ლანძღვა ზენიტს აღწევს და მასთან ერთად ახლიდან იხატება (მერამდენედძ ჯაგარაშლილი, ხახადაღებული რუსული დათვის აგრესული პორტრეტი, რომელსაც ერთი სული აქვს, ჩაყლაპოს უმანკო საქართველო.

**ის აღარ გვეყო, სააკაშვილი და მისიანები რომ წამდაუწუმ კრემლის აგრესიით გვაშინებენ, ახლა მათ, როგორც გურამ ფანჯიკიძე იტყოდა „ლატვა-ლიტვა და „ლუტვა“ დაემატა და არა მარტო ისინი, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სხვა „ლუტვებიც“.**

რაც უფრო ძლიერდება რუსეთი, „გაფარჩაკებული“ (სააკაშვილს დავესესხებიძ ევროკავშირის ფონზე, მით უფრო ძლიერდება ანტირუსული, ანტიპუტინური კაკოფონია. სულ ახლახანს ევროპარლამენტმა დაგმო ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტები რუსეთში, გულისწყრომა გამოთქვა „ფუსი რაოტისათვის“ „ბარბაროსული“ განაჩენის გამოტანის გამო, დაიცვა დუმიდან დათხოვნილი გუდკოვი მხოლოდ იმიტომ, რომ მათ თავისად თვლის.

და ეს ხდება მუსლიმანურ სამყაროში წინასწარმეტყველი მუჰამედის შეურაცხყოფის შედეგად აგორებული რელიგიური აჯანყების ფონზე. მაროკოდან ინდონეზიამდე დუღს მუსლიმანური სამყარო, იხოცებიან ადამიანები, მათ შორის მაღალი რანგის დიპლომატები, ნაცრადაა ქცეული აშშ-ის, სხვა ქვეყნების დიპლომატიური მისიები.

ცხადია, რუსეთი არ ჰგავს მუსლიმანურ ქვეყნებს, წინააღმდეგ შემთხვევაში აღშფოთებულ მორწმუნეთა ტალღა დიდი ხანია, წირვას გამოუყვანდა „ფუსი რაიოტს“ და ყველა იმას, ვინც ჯვრები მოხერხა, შეურაცხყოფა მიაყენა და აყენებს მართლმადიდებლურ ეკლესიას.

დასავლური „დემოკრატიის“ სურვილი ზედმიწევნით ემთხვევა ნაცთა ლიდერის სურვილს — დიდხანს გაგრძელდეს საქართველოში „ვარდების რევოლუცია“, სამარადისოდ იყვნენ სააკაშვილი და მისი ნაცები — დასავლეთის მიმართ ესოდენ დამჯერნი, ლიბერალურად მოაზროვნენი — იმ რუსული სიმღერისა არ იყოს — „დაე მუდამ იყოს მზე, დაე მუდამ იყოს ზეცა, დაე მუდამ იყოს დედა, დაე მუდამ ვიყო მე“.

ამ „უბედურ“ რუსეთს ნამდვილად არ წყალობს ბედი — ესტონელი მინისტრის ნავარაუდევი რუსული დასაყრდენი საქართველოში, ივანიშვილი ერთ-ერთი უცხოური გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში სააკაშვილს მოიხსენიებს, როგორც საშინელი რუსული მმართველობის მსგავსი რეჟიმის შემქმნელს.

ხელისუფლებაც და ოპოზიციაც (კუკავას გამოკლებითძ რუსეთის ლანძღვით ცდილობს ქულების დაგროვებას. არც ერთი მათგანი არ ითვალისწინებს ამომრჩეველთა სხვაგვარ განწყობას — დადასტურებული ერთ-ერთ გამოკითხვაში, რომლის მიხედვით საქართველოში მოსახლეობის 80%-ზე მეტს სურს რუსეთთან ურთიერთობა.

**მიუხედავად გაუთავებელი ანტირუსული პროპაგანდისა, ხალხს სურს ჩოლოყაშვილ-თავხელიძის მიერ საქართველოსთვის ნომერ პირველ მერად გამოცხადემულ რუსეთთან ურთიერთობა. მას ნაკლებად ხიბლავს „დემოკრატიული“ დასავლეთი, მით უმეტეს გეიპარადები, ხალხს სურს წარსულში დაბრუნება — განათებულ, გამთბარ, დაბალ გადასახადებიან წარსულში, უფასო განათლებითა და სამედიცინო მომსახურებით და არა ისეთში, როგორსაც მერაბიშვილი ხატავს და არც ისეთში, როგორშიც სააკაშვილ-მერაბიშვილმა აცხოვრა ბოლო 9 წელიწადი.**

საქართველოს საპარლამენტო არჩევნები ნამდვილად არ არის საყოველთაო აღტკინების თემა — განსაკუთრებით უცხოელებისთვის. არც ქვეყნის ტერიტორიის მასშტაბი, არც მოსახლეობის რაოდენობა, არც ეკონომიკა არ იძლევა ესოდენი დიდი ყურადღების გამოვლინების საბაბს.

მაშ რასთან გვაქვს საქმე? უპირველეს ყოვლისა აშშ-ის მიმართ ყმურ დამოკიდებულებასთან, რბილად რომ „ლოიალურს“ უწოდებენ, ამერიკულ პროექტ „ვარდების რევოლუციასთან“, ერთადერთს შემორჩენილ რევოლუციათაგან, რაც მოხდა არა მარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში.

აღარსად არის ყირგიზეთის, უკრაინის, სხვების „რევოლუციები“ — ამერიკელთა მიერ დადგმულ-განხორციელებული. არც რუსეთში ჩანს ანტიპუტინური რევოლუცია, მიუხედავად დახარჯული მსუყე თანხებისა, „ფუსი რაიოტის“ საძაგელი ტლინკაობისა, ჯვრების დახერხვისა, „ბოლოტნაიასა“ და „სახაროვის“ მიტინგებისა, „რუს“ ლიბერალთა ანტიპუტინური ყელყელაობისა და სხვა.

**ფერად-ყვავილოვანი რევოლუციებიდან მხოლოდ „ვარდებისაა“ შემორჩენილი — ზომაზე მეტი ეკლით და აყროლებული სუნით, მაგრამ მაინც ამერიკულით. განა არ ღირს ამისათვის გარჯა? ამერიკამ კარგად იცის, რა ძუკნის შვილია სააკაშვილი, მაგრამ ის საკუთარი ძუკნის შვილია და ამიტომაც იცავს მას, ხოლო ჩვენდა გასაგონად დემოკრატიულად გვიცხადებს, რომ არჩევნები დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს.**

დემოკრატიულად ჩატარების შემთხვევაში, რომ აღარაფერი დარჩება „ვარდების რევოლუციისგან“?

რაღა აშშ-ის პრეზიდენტის არჩევნები და რაღა საქართველოს პარლამენტის — ორივეს მიმართ აჟიოტაჟი დიდია. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მსოფლიო საქართველოს ღერძზე ტრიალებდეს. ნატოს გენერალურ მდივანს რასმუსენს, ათწუთიან ინტერვიუში, „ევრონიუსის“ კორესპონდენტი რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებზე და რუსეთის მიერ დაგეგმილ სამხედრო მანევრ „კავკასია-2012“-ზე შეეკითხება, ნათლად მეტყველებს, საიდან ქრის ქარი.

დასავლეთი ისეთ სურათს ხატავს, თითქოს რუსეთი მზად იყოს, არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, შემოიჭრას საქართველოში. ეს ვერსია — ნაცთა მიერ მათთვის ჩაწოდებული, ისევ ჩვენ გვიბრუნდება, ოღონდ ქართველთა „სათაყვანებელი“ უცხოელის პირით, თანაც გაფრთხილებით - როდესაც ოპოზიცია დამარცხდება, მან ხალხი ქუჩაში არ უნდა გამოიყვანოს, რამეთუ ამას უდავოდ მოჰყვება ჩასაფრებული რუსეთის შემოჭრა საქართველოში.

**არჩევნების წინ ქვეყნის ამომრჩეველი ორმაგ წნეხშია მოქცეული — შინაგანში — ნაცთა მხრიდან და გარეგანში — დასავლეთის მხრიდან. შინაგანი გვეუბნება, რომ ივანიშვილისთვის ხმის მიცემა — ნიშნავს რუსულ წყვდიადში დაბრუნებას — აბაშიძეობით, მამალაძეობით, კრიმინალობით, სხვა „სიკეთეებით“. არავინ სვამს კითხვას, არის თუ არა ყოველივე ამის მომტანი ივანიშვილი მაზოხისტი? ან ფუფუნებას დაჩვეულ მილიარდერს რატომ უნდა უხაროდეს გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების უბედურებების დაბრუნება? იქნებ მერაბიშვილს ჰგონია, რომ ხალხს სურს მის მიერ ნაცთა ყრილობაზე გაჟღერებული უბედურების კიდევ ერთხელ განცდა?**

> **ფერად-ყვავილოვანი რევოლუციებიდან მხოლოდ „ვარდებისაა“ შემორჩენილი — ზომაზე მეტი ეკლით და აყროლებული სუნით, მაგრამ მაინც ამერიკულით. განა არ ღირს ამისათვის გარჯა? ამერიკამ კარგად იცის, რა ძუკნის შვილია სააკაშვილი, მაგრამ ის საკუთარი ძუკნის შვილია და ამიტომაც იცავს მას, ხოლო ჩვენდა გასაგონად დემოკრატიულად გვიცხადებს, რომ არჩევნები დემოკრატიულად უნდა ჩატარდეს.**

სამწუხაროდ დასავლეთსაც ისეთივე პოზიცია უკავია, როგორც ნაცებს, ოღონდ მის მიერ მოწოდებული აზრები სხვაგვარადაა ჩამოყალიბებული და შეფუთული. მიზანი კი ერთია — საქართველოს მოსახლეობა, მათ შორის ოპოზიცია, უნდა შეეგუოს არჩევნების შედეგს.

შედეგი კი კარგად იცის ათას ბარიერზე გადამხტარმა ერმა. რა გამოდის? ქართული ფოლკლორით — ეს ჩემი ასო კიტრია და უნდა ვჭამოთ! ვჭამოთ იმიტომ, რომ ასე სურთ ვაშინგტონში „ვარდების რევოლუციის“ შემქმნელ „მამებს“, მსოფლიო „დემოკრატიისა“ და „ადამიანის უფლებათა“ დამცველებს — საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და წინსვლისთვის.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

კაკალ გულში!

# უმეცარნო, ვის წისქვილზე უშვებთ წყალს?!

## რატომ აჩუქა ბადრი პატარკაციშვილმა შალვა ნათელაშვილს 100 ათასი დოლარი?..



მთელი ქართველი ხალხი შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო ცრუპრეზიდენტ სააკაშვილის ცხრაწლიანმა მმართველობამ. ეს ქართველთმოძულე ინდივიდი ქართველ ერს დღითი დღე უმცირებს საარსებო სივრცეს – უგუნური საგარეო პოლიტიკით აკარგვინებს კოდორის ხეობას და ახალგორის რაიონს, ინვესტიციების საფარქვეშ შემოჰყავს უცხოელები, რომლებიც სულ მალე ქართველ ერს შთანთქავენ. მათზე ყიდის მიწებს, ტყეებს და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებს.

სააკაშვილისთვის უცხო ხილია ინტეგრალური პოლიტიკა და გულწრფელი დიპლომატია. შედეგად, დღემდე განუსაზღვრელია რეალობისათვის შესატყვისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაცია, არ არის დასახელებული კრიზისის გამომწვევი ობიექტური მიზეზები, პრობლემები არ არის დაყოფილი პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად, არ არის გამოცხადებული საყოველთაო ეროვნული თვითშეზღუდვა. თუმცა, სააკაშვილმა ადრე გამოაცხადა ქამრების შემოჭერა, მაგრამ ის და მისი მომხრეები კვლავ ფუფუნებაში ცხოვრობენ და ხალხის კეთილდღეობა, უკაცრაული პასუხია, ფეხებზე ჰკიდიათ.

სააკაშვილის ამორალურ საქციელზე თითქმის ყველა გაზეთი დღენიადაგ წერს. ეს გათავხედებული ინდივიდი ქართველ ერს თავზე დააჯდა და ამ გასაჭირს ცხრა წლის განმავლობაში ვითმენთ.

სულ ახლახან მან საქართველოს ინტერესების შემლახავი საქციელი ჩაიდინა, როცა დახოცა საზღვრის დამრღვევი მუჰაჯირები (აქამდე ისინი ხელისუფლების მხრიდან მებრძოლებად მოიხსენიებოდნენ, უეცრად ტერორისტები გახდნენ).

**საყოველთაო, საერთაშორისო წესია, როდესაც მოწინააღმდეგეს რამდენიმეჯერ აჭარბებ, იგი ტყვედ აგყავს. ბუნებრივია, საზღვრის დამრღვევი უნდა დაისაჯოს, მაგრამ მისი დახვრეტა ასე ხელაღებით, დაუშვებელია. მით უმეტეს, ისეთ ქვეყანაში, სადაც დახვრეტის მუხლი გაუქმებულია. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩეჩნები, ჩერქეზები, დაღესტნელები და ქართველები ერთი სისხლის – კავკასოიდური რასის წარმომადგენლები ვართ და მომავალში ეგრეთ წოდებულ კავკასიურ სახლში უნდა ვიცხოვროთ.**

დედაქალაქის ქუთაისში გადატანა და ქალაქ ლაზიკას დაარსების იდეა მკვეთრად გამოხატული ანტიქართული ქმედებაა, რაც გარეშე ძალების დაკვეთით ხდება. აი, ასეთი პრეზიდენტის გადაყენება ქართველების უპირველესი ამოცანაა.

* * *

გამოჩნდა კაცი, რომელმაც ქვეყნის გადარჩენა ითავა, კონკრეტულად რომ ვთქვათ, ურჩხულისაგან ქვეყნის ხსნა. ასეთ დროს გამოჩნდნენ პოლიტიკოსები, რომლებიც მას უშვერი სიტყვებით მოიხსენიებენ.

ივანიშვილი შეიძლება იყოს პროამერიკელი, პროჩინელი, პროგერმანელი და ასე შემდეგ, მაგრამ მხოლოდ მას ძალუძს (ვინაიდან მას ხალხის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს) საქართველოს არაკეთილისმსურველი სააკაშვილის გადაყენება. ეს არის მთავარი.

კაცმა (ივანიშვილმა) თავს იდო მეტად რთული, ვიტყოდი, მძიმე, ჯოჯოხეთური შავი სამუშაო და ამის საშუალებას არ აძლევ? ეს დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, უკადრისი საქციელია.

ქვემოთ დასახელებულმა ყვარყვარეებმა ერთხელ მაინც დაუსვან საკუთარ თავს ასეთი კითხვა: შეძლებენ კი იმ მძიმე ტვირთის ტარებას, რაც ბატონ ბიძინას შეუძლია?

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანის ქცევის მამოძრავებელი ძალა გაცნობიერებული ჭეშმარიტებაა. ზემოხსენებულ ჭეშმარიტებას კაცი რომ ვერ გაიცნობიერებს, რა უნდა ითქვას მასზე? ჩანს, ბატონებს – დავითს (გამყრელიძეს), შალვას (ნათელაშვილს) და გიორგის (თარგამაძეს) არ ძალუძთ ელემენტარული ჭეშმარიტების გაცნობიერება.

დასკვნა: მათი მოქმედება ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას, მაგრამ მათ, კუთხური მოსაზრებებისა და სხვა ფაქტორების გამო საზოგადოების მცირე ნაწილი მაინც უჭერს მხარს. ისინი, ჯერ კიდევ ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამდე რამდენჯერმე მძაფრად გამიკრიტიკებია. მოტივი: მსურდა ქართული პოლიტიკური სპექტრის ფსევდოპოლიტიკოსებისაგან გასუფთავება.

გამყრელიძემ კუთხური გაგების პარტია ჩამოაყალიბა და ამჟამადაც იმედი აქვს კუთხური მიკერძოებისა. დროა, ეს დასაგმობი მოვლენა, აღმოიფხვრას.

ღრმად ვარ დარწმუნებული გამყრელიძეს მემარჯვენეობის არსზე წარმოდგენაც კი არა აქვს. სწორედ ამ მიმდინარეობამ მიიყვანა აშშ დიდ დეპრესიამდე (1927-1937წ.წ.). შემდგომში რუზველტმა ეგრეთ წოდებული „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ მეშვეობით ქვეყანა კრიზისისაგან გამოიყვანა.

ტელევიზიით ხშირად გამოდიან ახალი მემარჯვენეები და თავს იწონებენ თავიანთი ნაცოდვილარით – ეგრეთ წოდებული პროგრამით, რაც უხეიროდ გადმოქართულებულ ტექსტს წარმოადგენს, რის პრაქტიკაში დანერგვაც კიდევ უფრო დაგვიმძიმებს მდგომარეობას. საერთოდ, გამყრელიძის და მისდაგვარი პოლიტიკოსების „თეორია“ შეიძლება დაყვანილ იქნეს შემდეგ სურვილებამდე: უნდათ კაი ეკონომიკა, კაი განათლების სისტემა, კაი მკურნალობის სტრუქტურები, კაი საშინაო და საგარეო პოლიტიკა, მაგრამ ეს „კაი“ როგორ მიიღწევა, ამაზე არაფერს ამბობენ; სურთ, ყველა დარგს გამოუყონ სოლიდური თანხა, მაგრამ სად მოიპოვონ ეს თანხები ამაზედაც დუმან. ამიტომ არის საჭირო, პრობლემების დაყოფა პირველ და მეორე რიგში გადასაწყვეტ პრობლემებად, რათა გამონთავისუფლებული სახსრები მოხმარდეს სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგებს.

ერთხელ, ახალი მემარჯვენეების ერთ-ერთი ლიდერი ბენდუქიძეს ეპაექრებოდა. ბოლოს ეს სატელევიზიო დებატი იმით დამთავრდა, რომ ახალი მემარჯვენეების „ფალავანმა“ ასეთი რამ განაცხადა: ჩვენ ბათუმის პორტის გაყიდვის წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გამჭვირვალედო. თურმე, ნუღარ იკითხავთ, თუ საქართველო გამჭვირვალედ გაიყიდება, დასაშვებია. ერთხელაც, ამ პარტიის ერთმა ლიდერმა თვალცრემლიანმა განაცხადა: ბენდუქიძისთვის თანამდებობის გამოცვლა ნიშნავს საქართველოში საბაზრო ეკონომიკის მზის ჩასვენებას (ახალი მემარჯვენეების გაგებით, საქართველოსთვის მზის ჩასვენებასძ. აი, სადამდე მივყავართ პოლიტიკურ უმეცრებას.

თარგამაძეზე რა უნდა ითქვას, გარდა იმისა, რომ იგი სააკაშვილის სატელიტია. მას ამდენი ხნის განმავლობაში ერთი პოლიტიკური შინაარსის მქონე წინადადებაც კი არ დასცდენია. იმ მიზნით, რომ გულუბრყვილო ამომრჩევლის მხარდაჭერა მიიღოს, მეტად უმართებულო, შეუფერებელი მოსაზრება გამოთქვა: „თუ მე გავხდები ქვეყნის მეთაური, საქართველოს მართლმადიდებელ სახელმწიფოდ გამოვაცხადებ“. ჯერ ერთი, შუა საუკუნეებშიც კი იკრძალებოდა კლერიკალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება, მეორეც, მართლმადიდებლობის ფუძემდებელი საბერძნეთი არ არის მართლმადიდებელი სახელმწიფო, აღარაფერს ვამბობ უკრაინასა და რუსეთზე, სადაც ათეულ მილიონობით მართლმადიდებელია. რასაკვირველია, თარგამაძემ არ იცის, რომ კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ რუსეთი გახდა ამ სარწმუნოების მედროშე და ამ წინამძღოლობას დღესაც ინარჩუნებს. საქართველოში რამდენი მართლმადიდებელია, იმდენი იაპონიაშიც კი არის. მან, ალბათ, ისიც კი არ იცის, რომ ქართველთა ნახევარზე მეტი მუსლიმანია. ასე რომ, თარგამაძის ეს მოწოდება ყოვლად მიუღებელია და არ გამომდინარეობს ერის ინტერესებიდან. ცუდია, როცა ძალაუფლებისაკენ სწრაფვა ადამიანს ჭკუას აკარგვინებს.

პატივცემული ქალბატონი ინგა გრიგოლია ბატონ სოსო ჯაჭვლიანს ურჩევს, რომ მის სასარგებლოდ მოხსნას კანდიდატურა. ეს, როგორ გავიგოთ? – სატელიტი პარტიის წარმომადგენელს სურს, დეპუტატი გახდეს და ბატონი ბიძინას წარმომადგენელი გაეცალოს პოლიტიკურ ბრძოლას? – ეს თარგამაძისეული წესი ხომ არ არის?

მოგველის მძიმე პოლიტიკური ბრძოლა. ამ ბრძოლაში ჯაჭვლიანი უფრო გამოდგება თუ ქალბატონი ინგა? აქ საკითხავი არაფერია, გრიგოლიამ დროზე უნდა უშველოს თავს და „ქართულ ოცნებაში“ ჩაეწეროს, რათა განთავისუფლდეს შეურაცხმყოფელი იარლიყისაგან (სატელიტიძ.

ნათელაშვილმა ისეთი გააფთრებით წამოიწყო ბატონი ბიძინას ლანძღვა-გინება, რომ სურვილი დამებადა კვლავ შევახსენო, რას წარმოადგენს იგი. მხოლოდ ეს კია, აქამდე ვერ გამირკვევია – სააკაშვილია ნომერ პირველი ნათელაშვილი თუ ნათელაშვილია ნომერ პირველი სააკაშვილი. სხვას უწოდებს კურდღელს (მხედველობაში მყავს ივანიშვილიძ თვითონ ნამდვილი კურდღელი. ერთხელ ერთმა ინდივიდმა მას უწმაწური და ბილწი სიტყვებით შეურაცხყოფა მიაყენა. პასუხად – მის წინაშე მიწას გაწერთხო და დიდად მოეფერა. ნათელაშვილი სამი წლის განმავლობაში სულ იმას გაიძახოდა, სანიკიძის საქმიანობა უნდა გამოვააშკარაოო. ახლა ის ყოფილ მეგობრადაც კი გამოაცხადა. ეს გამონათქვამი სწორედ ამას ნიშნავს: „სამწუხაროდ, ბატონი გუბაზი ივანიშვილის გუნდში გაერთიანდა“. მოგეხსენებათ, გუბაზისთანა ზორბა მამაკაცებისადმი შალვასნაირ კაცებს დიდი ფიზიოლოგიური შიში აქვთ. ბატონ გუბაზს ამჟამად უმძიმესი საქმე აქვს მინდობილი ქუთაისში და მას წახალისება სჭირდება და არა ლანძღვა-გინება.

**ბატონ შალვას წარმოდგენაც კი არ აქვს მეორე მსოფლიო ომის პერიპეტიებზე. ცოტა ხნის წინ ისეთი რამ თქვა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება.მას იმასაც გავახსენებ, რომ სულმნათ ბადრისაც არ მოიხსენიებდა კეთილი განწყობით, მაგრამ როცა მან 100 ათასი დოლარი აჩუქა, მყისიერად პატარკაციშვილის მეგობარი გახდა. მკითხველო, ეს გარემოება ხომ არ მოგაგონებს აკაკის ლექსს „მურიას“. საერთოდ, ნათელაშვილი ამ ტიპის ინდივიდია: ინტელექტუალებთან ძველბიჭობს და აშინებს მათ, ხოლო ხულიგნებთან სათნო ინტელექტუალად წარმოიდგენს თავს.**

ვაჟა ჟღენტი,
საბჭოური პერიოდის საქართველოს პოლიტპატიმართა გაერთიანების თავმჯდომარე

ინფორმაცია

## გუშინდელ აქციაზე ჯონდი ბაღათურიასა და დაჩი ცაგურიას შორის ინციდენტი მოხდა

კანცელარიასთან ჯონდი ბაღათურიასა და უფლებადამცველ დაჩი ცაგურიას შორის ინციდენტი მოხდა. ბაღათურიამ ხალხს მიმართა თხოვნით, რომ მსვლელობა პრეზიდენტის ადმინისტრაციისკენ გაგრძელებულიყო, რასაც აქციის მონაწილეების მეორე ნაწილი არ დაეთანხმა.

დაჩი ცაგურიამ ჯონდი ბაღათურიას მოუწოდა, რომ პოლიტიკური ქულები სხვაგან დაიწეროს. მისი თქმით, ამ აქციაზე პოლიტიკური პარტიების განცხადებების გაკეთების ადგილი არ არის. დაჩი ცაგურიამ შეკრებილ საზოგადოებას მიუწოდა, რომ არსად არ წასულიყვნენ.

News.ge



ფინანსური კრიზისი ღრმავდება

# სეზონური და ევროპული ფასები საქართველოს „ეხუტებიან“



**გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციები საკვები პროდუქტების მოსალოდნელი გაძვირების შესახებ ყურადსაღებ განცხადებებს აკეთებენ. ევროზონის ზოგიერთ ქვეყანაში მაღალი ინფლაციაც აღინიშნა. შემოდგომა დაიწყო და თანდათან საქართველოსაც დაუდგა მზარდი ფასების პერიოდი. ამ პროცესს საერთაშორისო ბაზრებზე პროდუქციის შეუქცევადი გაძვირება კიდევ უფრო დააჩქარებს.**

ამის მიზეზად უკრაინაში, რუსეთში, ყაზახეთსა და ამერიკაში არსებული გვალვები, ასევე ევროპის რიგ ქვეყნებში ჯერ გადაუღებელი წვიმები, ხოლო ბოლო დროს მაღალი სიცხეები სახელდება.

**მსოფლიო ბანკის ცნობით, ხორბალი წლევანდელ ზაფხულში 50%-ზე მეტით, ხოლო სიმინდი 45%-ით გაძვირდა. სურსათის მსოფლიო ბაზარზე არსებული რყევები ინვესტორებს აფრთხობს და სოფლის მეურნეობაში კაპიტალის ჩადებისგან თავს იკავებენ. ამიტომაც ამერიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უკვე განაცხადა, რომ შტატებში წლევანდელი გვალვები 2013 წლიდან სურსათის მსოფლიო ფასებს გაზრდის.**

**ევროზონაში ფასები მაღლა უკვე დაიძრა. ინფლაცია ყველაზე მეტად უნგრეთში, კვიპროსში და ესტონეთში იგრძნობა 2012 წლის აგვისტოს მონაცემებით, ევროზონაში სამომხმარებლო ფასები ბოლო ერთი წლის განმავლობაში 2.6%-ით გაიზარდა. ინფლაციის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი გამოვლინდა შვედეთში (0.9%), საბერძნეთში (1.2%) და ლატვიაში (1.9%). ყველაზე მეტად კი ფასები გაიზარდა უნგრეთში — 6%, კვიპროსში — 4,5% და ესტონეთში — 4.2%.**

**ფასების ზრდა აღირიცხება აგრეთვე ევროკავშირის ლიდერ ქვეყნებში გერმანიაში და საფრანგეთში. გერმანიაში ინფლაციამ წლიური 0 2.2%, საფრანგეთში 2.7% შეადგინა. თვის ინფლაციამ შესაბამისად 0,4% და 0.7%.**

**ბოლო ერთი თვის განმავლობაში პერმანენტულად ძვირდება ორი მთავარი პროდუქტი — ოქრო და „შავი ოქრო“. მსოფლიო ბაზარზე ოქროს ფასმა 6 თვის მაქსიმუმს მიაღწია, რაც აშშ-ს სარეზერვო სტიმულირებას უკავშირდება. პარასკევს 1 უნცია ოქროს ფასმა 1.773,70 დოლარი შეადგინა მაშინ, როდესაც წინა ვაჭრობაზე მისი ღირებულება 1.766,29 დოლარი იყო.**

ქართველი ექსპერტების განცხადებით, სურსათის გაძვირება გარდაუვალი პროცესია, რასაც სტიქიასთან ერთად, განვითარებად ქვეყნებში მიმდინარე პროცესებმაც უბიძგეს. კერძოდ, ექსპერტ ავთო სილაგაძის მოსაზრებით, განვითარებად ქვეყნებში სურსათზე გაზრდილმა მოთხოვნამ საკვები პროდუქტების გაძვირება გამოიწვია, ხოლო ბუნებრივმა კატაკლიზმებმა ეს პროცესი უფრო მეტად დააჩქარა.

**საქართველო 80-85%-ით იმპორტირებულ პროდუქციაზეა დამოკიდებული. ასე რომ, მსოფლიო ბაზრებზე არსებული ვითარება მალევე ჰპოვებს არასასურველ ასახვას ადგილობრივ სავაჭრო ქსელებში. მით უფრო, რომ უკვე შემოდგომაა და საქართველოში მოყვანილი იაფი სოფლის მეურნეობის პროდუქტი სწრაფად ილევა. დაახლოებით 2 თვეში ადგილობრივი ბაზარი თითქმის მთლიანად უცხოური ნაწარმით გაჯერდება და ფასებიც მომხმარებლისთვის უცხო იქნება.**

სოფლის მეურნეობის სფეროს ექსპერტი თამაზ კუნჭულია სურსათის გაძვირების მოტივებზე საუბრობს და დასძენს იმ საშიშროებებზე, რაც ასეთ პროცესებს თან ახლავს.

**„უამრავი მიზეზია, რაც სტიქიასთან ერთად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შემცირებას განაპირობებს. ძირითადი მაინც არის მოსახლეობის ზრდა დედამიწაზე, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირება, სარწყავი წყლის დეფიციტი და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ბიოსაწვავად გამოყენება. ეს არის მოსავლიანობის შემცირების ძირითადი მოტივი.**

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნავთობი და გაზი არის ამოწურვადი საბადოები, რაც შორეულ პერსპექტივაში ახალი მოტივია საფასო ცვლილებებისთვის“,** — აცხადებს კუნჭულია და დასძენს, რომ სურსათის გაძვირების შემთხვევაში კიდევ უფრო გაიზრდება გენმოდიფიცირებული პროდუქციის მიმართ დამოკიდებულება.

**„ეს საშიშროება რეალურად არსებობს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ამ პროცესს ეროვნული პროდუქციის წარმოების ზრდა დავუპირისპიროთ. ბევრი ქვეყანა ფიქრობს, რომ შეწყვიტოს ან შეამციროს ექსპორტი და თვითდაკმაყოფილებაზე იზრუნოს.**

**სურსათის გაძვირების შემთხვევაში, საკვების შემოტანა ძალიან მაღალ ფასში მოგვიწევს. მესმის, კაკაოს ვერ ვაწარმოებთ, მაგრამ როგორმე უნდა მოვახდინოთ იმ პროდუქციის წარმოების ზრდა, რისი რესურსიც არსებობს. იაფი ფასების ხანა დასრულდა და ეს რეალობა ყველამ უნდა მივიღოთ“,** — აცხადებს თამაზ კუნჭულია.

ეკა ბაქრაძე

# განცხადება აუქციონის შესახებ

**2012 წლის 28 სექტემბერს, 10.30 საათზე,** მისამართზე: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7, II სართული, საგამოფენო დარბაზში, ჩატარდება აუქციონი, რომელზეც მოხდება **დავით ქავთარაძის** (პ/ნ 21001010632ძ, **მაია ბუქურის** (პ/ნ 01017002384ძ, **შოთა ფილაშვილის** (პ/ნ 01027041188ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთების რეალიზაცია:

## გასაყიდად გამოტანილი იქნება შემდეგი ქონება:

- დავით ქავთარაძის (პ/ნ 21001010632ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ზაჰესის დასახლების ტერიტორია, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 800.00 კვ.მ., ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.179, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.115;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 6,910 **(ექვსი ათას ცხრაას ათი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;**

- დავით ქავთარაძის (პ/ნ 21001010632ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.ბორჯომი, დაბა ბაკურიანი, ყოფილი „მიონი“-ს მიმდებარედ, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 578.00 კვ.მ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.10.02.095;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 3,227 (სამი ათას ორას ოცდაშვიდი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში;

- დავით ქავთარაძის (პ/ნ 21001010632ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: რაიონი ბორჯომი, დაბა ბაკურიანი „კოხტის ძირი“, ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 2000.00 კვ.მ., შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: შენობა-ნაგებობა 93.8 კვმ., მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 64.10.08.070;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 36,833 **(ოცდათექვსმეტი ათას რვაას ოცდაცამეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

- მაია ბუქურის (პ/ნ 01017002384ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, ზაჰესის დასახლების ტერიტორია, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 590.00, ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.659 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.084;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 5,096 **(ხუთი ათას ოთხმოცდათექვსმეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში.**

- მაია ბუქურის (პ/ნ 01017002384ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: მცხეთა, ავჭალის ტერიტორია, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 412.00, ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.919 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.107;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 3,559 **(სამი ათას ხუთას ორმოცდაცხრამეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

- შოთა ფილაშვილის (პ/ნ 01027041188ძ საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთი — მდებარე: ქ.თბილისი, დასახლება ზაჰესი, ნაკვეთის ფუნქცია: სასოფლო-სამეურნეო, დაზუსტებული ფართობი: 560.00, ნაკვეთის წინა ნომერი: 72.12.00.664 მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 72.12.01.083;

უძრავი ნივთის საწყისი ფასია: 4,837 **(ოთხი ათას რვაას ოცდაჩვიდმეტი აშშ დოლარი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში.**

ყველა, ვისაც უფლებები აქვს აუქციონზე გასაყიდ ნივთ-(ებ)ზე, ვალდებულია, ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებანი წარადგინოს აუქციონის დაწყებამდე.

აუქციონში მონაწილეობის მსურველმა უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია, რომელიც უზრუნველყოფს მონაწილის მიერ თანხის სრულად დაფარვას აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში; საბანკო გარანტიის ოდენობა უნდა შეადგენდეს უძრავი ნივთის საწყისი ფასის ერთ მეათედს; საბანკო გარანტიის პირველად ბენეფიციარად დასახელებული უნდა იყოს კრედიტორი — სს „თიბისი ბანკი“.

აუქციონში გამარჯვებულად გამოცხადდება ის, ვინც ვაჭრობაზე დააფიქსირებს ყველაზე მაღალ ფასს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებული იქნება გადასახდელი თანხა ერთი კვირის განმავლობაში შეიტანოს ან ჩარიცხოს სს „თიბისი ბანკში“ შემდეგ ანგარიშზე GE85TB 0000000 450 113 005, რის შემდეგაც ის გახდება აუქციონზე შეძენილი ნივთის მესაკუთრე.

## საჯარო შეტყობინება აუქციონის შესახებ შპს „ფენიქსს“, დავით ქავთარაძეს, მაია ბუქურს, შოთა ფილაშვილს

ეცნობოს შპს „ფენიქსს“, მაია ბუქურს, შოთა ფილაშვილს, დავით ქავთარაძეს, რომ ზემოაღნიშნული ინფორმაცია აუქციონის შესახებ ითვლება მათთვის საჯარო შეტყობინებად. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უწყება (შეტყობინება) მხარეებისათვის ჩაბარებულად ითვლება მისი გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

**სპეციალისტი სს „თიბისი ბანკი“**

**მისამართი: თბილისი, კ. მარჯანიშვილის ქ. №7**

წკეპლიკა

## „ვაშა ამ ახალ საქართველოს, ვაშა შენებას!..“

**ახლახან თელავში მორიგ ჯერზე მყოფმა ჩვენმა ჩაუქმა მოუსვენარმა, მოუღლელმა პრეზიდენტმა ხელი ერთ-ერთ ზიზილ-პიპილას მიაშვირა და ჩვეული და დაყენებული პათოსით შესძახა: — აი, ეს არის ახალი საქართველო!**

და მაშინვე გამიჩნდა „იდეა“: წაიყვანონ უნდა ბატონი მიხეილი აფხაზეთთან ამჟამინდელ რეალურ საზღვარზე, ზურგით დააყენონ აფხაზეთისკენ, პირით — დარჩენილ საქართველოსკენ და იმ პირში მიახალონ სათანადო მითითებით: — აი, ეს არის ახალი საქართველო! რასაკვირველია, იგივე შეიძლება გაკეთდეს სამხრეთ ოსეთთან (ეგრეთ წოდებულთან, რასაკვირველია), ახლახან საზღვრის „პონტშიც“...

ეს — პირველ რიგში, ყოველთ უწინარეს. მეორე რიგში და „მომდევნარეს“, არაერთი „პუნქტის“, „წერტილის“, „ობიექტის“ ჩამოთვლა შეიძლია, სადაც, რომელთანაც უმაღლეს პირს მივიყვანდი, დავაყენებდი, შევახედებდი, მივუთითებდი: — აი, ეს არის ახალი საქართველო! მაგალითად, ავლაბრის პრეზიდენტის სასახლე; მტკვარზე შუშის ხიდი; იქვე კაზინო; ყვარლის რანჩო; ნებისმიერი იუსტიციის სახლი; რეიგანის ძეგლი; კვერცხებისა და ზედ ფოსტლების მოდელი... (პოზიტიური არასრული ნუსხა); გამომცემლობა „სამშობლოს“, „იმელის“, ყოფილი პარლამენტის შენობები; რომელიმე ტყე — არაბებზე ან ჩინელებზე გაყიდული; გორში სტალინის ნაძეგლარი, თბილისიდან გაძევებული და „გაძეგლებული“ დავით აღმაშენებელი; კომუნალური გადასახადების „აღმასრულებელი“ ფურცელი ნაგავს მიერთებული მაღალი ძაბვის დენით; შემორჩენილთაგან ნებისმიერი ბაზარი ცეცხლმოკიდებულფასიანი პროდუქტებით; საცხოვრებელი კორპუსების ეზოები დომინოს მოთამაშე უმუშევრებით... (ნეგატიური არასრული ნუსხა).

...ყველა ვარიანტში ვაშა ამ ახალ, 2004 წელს დაწყებულ საქართველოს, ვაშა აღმშენებლობას, ვაშა მიხეილ-აღმშენებელს (აღმაშენებელში ნუ აურევთ).

ბერდია ბედოიძე

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ევროკავშირი: საქართველოს ციხეებში რაღაც აღმაშფოთებელი რამ ხდებოდა

ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა ოთხშაბათს აღშფოთება გამოთქვა საქართველოს ციხეებში მიმდინარე წამებების გამო.

საქართველოს საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსისთვის" მიცემულ ინტერვიუში დიმიტროვმა განაცხადა, რომ „ვიდეომასალების მონაცემებით, საქართველოს ციხეებში ხდებოდა რაღაც აღმაშფოთებელი რამ. ხალხი შოკირებულია, ეს გასაგებია".

ციხეებში წამებათა საქმესთან დაკავშირებით დაკავებულია ათი თანამშრომელი, ერთზე გამოცხადებულია ძებნა.

ეს არის იგივე ვლადიმერ ბედუკაძე, რომელმაც ბელგიაში გაიტანა შოკისმომგვრელი კადრები.

მომხდარის გამო თბილისის ცენტრში განახლდა საპროტესტო აქცია.

პრემიერმა ვანო მერაბიშვილმა მთავრობის სხდომაზე ქალაქ ხაშურში დადო პირობა, რომ აღმოფხვრის ამ წამებებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წამებით გაერთო

საქართველოში გრანდიოზული სკანდალი აგორდა, რაც სასჯელაღსრულების მინისტრს ხათუნა კალმახელიძეს თავისი პოსტი დაუჯდა. ამის საბაბი გახდა ვიდეოკადრები, რომლებიც ამხელენ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას ადგილობრივ ციხეებში პატიმრების წამებაში.

სკანდალის ავტორი თბილისის გლდანის № 8 ციხის ყოფილი თანამშრომელი ვლადიმერ ბედუკაძეა, რომელიც ამჟამად ბელგიაშია. აღმოჩნდა, რომ ციხეში რეგულარულად აწამებდნენ პატიმრებს. თანაც, როგორც ბედუკაძე ირწმუნება, დაწესებულების თანამშრომლები მოქმედებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელის ბაჩო ახალაიას პირდაპირი ბრძანებით. ყოფილმა ციხის მუშაკმა საქართველოს ოპოზიციურ ტელეარხ „ტვ-9" განუცხადა, რომ





პატიმრებისადმი ანალოგიური დამოკიდებულება პრაქტიკაშია სხვა ადგილობრივ ციხეებშიც, და ამის შესახებ შესანიშნავად იცის სასჯელაღსრულების მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ.

თავისი სიტყვების დასადასტურებლად ვლადიმერ ბედუკაძემ წარადგინა პატიმრებზე დამამცირებელი მოქმედებების ვიდეოჩანაწერები, რომლიც ფარული კამერით იქნა გადაღებული. კადრებზე მოჩანს, თუ დაცვა როგორ იყენებს ძალადობას პატიმრებზე რეზინის ხელკეტებითა და ცოცხებით. მეორე ეპიზოდმა დააფიქსირა, თუ ციხის დაახლოებით 20 თანამშრომელი რიგრიგობით როგორ სცემდნენ პატიმრებს ფეხებითა და ხელებით.

აქამდე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ განხორციელებული რეფორმების სავიზიტო ბარათი იყო. სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტებს რეგულარულად იწვევდნენ უწყებიდან პოლიციის ახალი განყოფილებების გახსნაზე, სადაც მინის კედლებს მიღმა მსხდომი თანამშრომლები ოპერატიულ რეაგირებას ახდენდნენ მოქალაქეთა ნებისმიერ მიმართვაზე. როგორც ქართველი ლიდერი გვარწმუნებდა, შინაგან საქმეთა სამინისტროში შეძლეს, ბოლო მოეღოთ წინა წლებში აყვავებული კორუფციისა და ადამიანის უფლებათა ელემენტარული დარღვევებისთვის.

ახალმა ამბავმა ციხეებში წამების შესახებ საქართველოში მასობრივი პროტესტები გამოიწვია. სამშაბათს გვიან საღამოს, უმალვე ტელევიზიით სკანდალური კადრების ჩვენებიდან, ათასობით ადამიანი გამოვიდა საქართველოს ქალაქების ქუჩებში. მასობრივი აქციები გაიმართა თბილისში, ბათუმში, ფოთსა და გორში. საზოგადოებრიობისა და ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მოითხოვდნენ შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულების მინისტრების გადადგომასა და სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებას. „ეს არის სკანდალური აქცია, აქ შეიკრიბნენ ისინი, ვინც მთელი ეს საშინელება და ძალადობა იხილა ტელეეკრანებზე, — განუცხადა ბიბი-სის აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ დაჩი ცაგურიამ. — ყველა მათგანმა, ვინც შექმნა ეს სისტემა, უნდა აგოს პასუხი ამისთვის".

სამშაბათს ღამით სკანდალზე რეაგირება მოახდინა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. სპეციალურ განცხადებაში პატიმართა წამებებს მან უწოდა „აღმაშფოთებელი აქტი, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის ღირსებებისა და უფლებების უგულებელყოფას". „ყველა, ვინც მოაწყო და განახორციელა იგი, ვინც ეს დაუშვა, იმსახურებს ყველაზე მკაცრ სასჯელს და ისინი ამ სასჯელს მიიღებენ", — განაცხადა სააკაშვილმა.

უკვე დააკავეს გლდანის ციხის სამი თანამშრომელი, მათ შორის მისი უშიშროების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე. სკანდალის ამგორებელი „მორიგე ოპერატიული ინსპექტორი ვლადიმერ ბედუკაძე" ასევე გადის საქმეში როგორც ბრალდებული და მასზე ძიებაა გამოცხადებული. ოთხშაბათს დილით თავისი გადადგომის შესახებ განაცხადა ხათუნა კალმახელიძემაც.

Коммерсантъ

# ქართველებს უკვე აღარ აკმაყოფილებთ მხოლოდ კორუფციასთან ბრძოლა

„გამარჯობა!" — ვესალმები ქართულად თბილისის აეროპორტში მკაცრი გამომეტყველების ერთ-ერთ მესაზღვრეს. და ვიწყებ მზადებას უსათუო შეკითხვებისთვის ჩემი ვიზიტის მიზნის, საცხოვრებელი ადგილის და იმის შესახებ, თუ ვინ მომიწვია და სხვა საკითხების შესახებ, რასაც მე ოდესღაც ვხვდებოდი დიდ ბრიტანეთში და ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებში პრაქტიკულად ყველა ჩამოსვლის დროს. მესაზღვრე მომჩერებია, ფურცლავს ჩემს პასპორტს, სვამს მასში ბეჭედს და მიბრუნებს მას მე პატარა ბოთლთან ერთად, რომელშიც ასხია წითელი ღვინო და მეუბნება: „კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება საქართველოში!".

საქართველოში პირველად ვიყავი 2002 წელს, ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს. ელექტროება თბილისის ცენტრში იყო სამი საათის განმავლობაში დილით და სამი საათის განმავლობაში საღამოს. სასტუმრო „ივერიაში", რომელიც ოდესღაც საბჭოთა ტურიზმის სიამაყე იყო, უკვე ათი წელიწადია ცხოვრობენ დევნილები აფხაზეთიდან, პოლიციელები კი ყოველი ასი მეტრის დაშორებით იყვნენ და მანქანით გავლისთვის ორ ლარს ითხოვდნენ. ჩვენი მძღოლი ძველ „მერსედესში" გერმანული ნიშნებით პოლიციელების ჟესტზე პრინციპულად არ ახდენდა რეაგირებას. „ისინი მაინც არაფერს გააკეთებენ, მათ არ აქვთ ფული ბენზინისთვის, რომ გამომედევნენ", — მშრალად მეუბნებოდა იგი.

### რუსეთს საქართველოზე თავისი გეგმები აქვს

დღეს ასეთი რამ უკვე აღარ შეიძლება რომ მოხდეს. და არა მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა, რომელიც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ვარდების რევოლუციის შემდეგ, გაუშვა საგზაო პოლიცია. პრეზიდენტი ხელმძღვანელობდა მარტივი ლოგიკით: თუ რაიმე სრულად არ ფუნქციონირებს კორუფციის გამო, უმჯობესია ეს სტრუქტურა დაიშალოს, და, შეიძლება გაირკვეს, რომ ამის აუცილებლობა იქნებ არც იყო. პოლიციელების გარდა სამუშაო დაკარგეს, მაგალითად, კონტროლიორებმაც სასურსათო სფეროში, აგრეთვე სამშენებლო ზედამხედველობის თანამშრომელთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა.

მინიმალური რეგულირებისა და კანონების დაცვის მაქსიმალურად მკაცრი მოთხოვნების შეთავსება ერთმანეთთან წარმატებული აღმოჩნდა. ელექტროება არის არა მხოლოდ დედაქალაქ თბილისში, არამედ თელავშიც, საქართველოს აღმოსავლეთში. იქ ჩემი პირველი ყოფნის დროს ამ ქვეყანაში ელექტროება იყო მხოლოდ ორი საათის განმავლობაში.



პოლიციის ახალი განყოფილებები მინისაა და მოსახლეობის რწმენა სახელმწიფო სისტემის ამ ნაწილისადმი უკვე მრავალი წელია 70 პროცენტის დონეზეა, რისი დაჯერებაც ერთობ რთულია.

ზღვისპირა კურორტ ბათუმში, სადაც ოდესღაც ვცხოვრობდი უცნაურ ოთახში, რომელიც სავსე იყო პარაზიტებითა და გამაოგნებელი ხვრელებით იატაკზე, ახლა სასტუმროები იზრდება, როგორც სოკოები წვიმის შემდეგ. მძღოლები უშიშროების ღვედებსაც კი იკეთებენ. ყველა, ვინც იცნობს მანქანის ტარების კავკასიური მანერის სპეციფიკას, ამ ცივილიზებულ ნახტომს უსათუოდ შეაფასებს.

მაგრამ თუ ცენტრალური ქუჩებიდან ოდნავ გვერდზე გადაუხვევ, ქართული წარმატების ისტორია იწყებს რღვევას. მაღაზიები სავსეა ჩინური საფეიქრო პროდუქციით. ერთ-ერთი სახლის ფანჯრიდან მე შევნიშნე ლეიბი პირდაპირ ბეტონის იატაკზე. ამ გარაჟში, სულ ცოტა ხუთი კაცი ცხოვრობს. თუ სათამაშოების მიხედვით ვიმსჯელებთ — მათ შორის ბავშვებიც არიან.

„სააკაშვილმა ბევრი კარგი რამ გააკეთა. მაგრამ ეს იყო ავტორიტარული მოდერნიზაცია, დემოკრატია კი სადღაც მეექვსე-მეშვიდე ადგილზე იყო. გარკვეული დროის შემდეგ მოდერნიზაციისგანაც ბევრი არაფერი დარჩება, სამაგიეროდ, ავტორიტაროზა იქნეს ძალას", — წუხილით ამბობს ივლიანე ხაინდრავა, სააკაშვილის ყოფილი თანამშრომელი და ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი.

### სააკაშვილის დესპოტიზმს ბოლო უნდა მოეღოს

დღეს, როდესაც მიხეილ სააკაშვილისა და მისი მთავარი ოპონენტის, მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მიმდევრებს არ შეუძლიათ წარმოთქვან ერთი მეორის სახელები, ხაინდრავა ლაპარაკობს არაჩვეულებრივად დაბეჯითებით.

„პრობლემა არის ის, რომ ჩვენში საერთოდ არ არის ხელისუფლების მშვიდობიანად გადაცემის გამოცდილება. პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ჩამოაგდეს სამხედრო გადატრიალების შედეგად, შევარდნაძე წავიდა მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის" დროს. და ჯერჯერობით არ არის შეგრძნება, რომ სააკაშვილს სურს, ნებაყოფლობით თქვას უარი ხელისუფლებაზე არჩევნების შემდეგ. მაშ, რა მოდერნიზაციაზე შეიძლება ლაპარაკი?" — რიტორიკულად სვამს შეკითხვას ხაინდრავა.

არჩევნების შედეგები და რაც მთავარია, მისი მიმდინარეობა ოქტომბრის დასაწყისში გვიჩვენებს, შეძლებს თუ არა საქართველო, გარდა ცნობილი კეთილმოსურნე განწყობილებისა სტუმრებისადმი, შესთავაზოს რაიმე საკუთარ მოქალაქეებს. თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ შესანიშნავ წითელ ღვინოს.

iHNed.cz

## დედამიწის ზურგზე



ზედმეტად გულახდილ რომნისთან დაკავშირებული სკანდალი აშშ-ის საზღვრებს გასცდა: ვიდეოს სრულ ვერსიაში მან პალესტინელებსაც აწყენინა

მრავალრიცხოვანი თხოვნის შესაბამისად, მათ შორის თავად პრეზიდენტობის კანდიდატისაც, ქსელში ჩართეს სკანდალური ვიდეოს სრული ვერსია, რომელზეც რომნი აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა ნახევარს. როგორც აღმოჩნდა, ის საუბრობდა აგრეთვე პალესტინა-ისრაელის კონფლიქტზეც. ახლა ობამას რეიტინგი შეიძლება გაიზარდოს. ჯერჯერობით კი მოქმედი პრეზიდენტი უმნიშვნელოდ ლიდერობს.

* * *

სირიის დეზერტირმა გენერალმა ისაუბრა ასადის გეგმების შესახებ, გამოიყენოს ქიმიური იარაღი მასობრივი ინფორმაციის საშუალებები კი იტყობინებიან პრეზიდენტის დის გაქცევის შესახებ



„დი ტაიმსისთვის" მიცემულ ინტერვიუში გენერალმა ადნან სილუმ განაცხადა, რომ ბაშარ ასადი ჯერ კიდევ სამი თვის წინათ გმობდა სამხედრო ოპერაციებს ქიმიური იარაღის გამოყენებით. სილუ გაქცევამდე პასუხისმგებელი იყო ამ იარაღის შენახვაზე. ამ დროს არაბეთის ტელევიზია ამტკიცებს, რომ ასადის და გაიქცა არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

* * *

პეკინში დემონსტრანტები, რომლებიც გამოდიოდნენ იაპონიის წინააღმდეგ, თავს დაესხნენ აშშ-ის ელჩის მანქანას

დიპლომატიური მისიის ხელმძღვანე-



ლი ჰერი ლოკი ინციდენტის შედეგად არ დაზარალებულა, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უკვე განაცხადა მომხდარის შესახებ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროში და ჩინეთის ხელისუფლებისგან მოითხოვა, უზრუნველყონ თანამშრომლებისა და ამერიკის საელჩოს ქონების უსაფრთხოება.

* * *

ჟირინოვსკიმ გადაკვრით მიანიშნა სომხებს „სისხლით იძიონ შური" აზერბაიჯანელებზე, რამაც დიპლომატიური სკანდალი გამოიწვია

იმ აზერბაიჯანელი სამხედროს გათავისუფლების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო მიტინგზე, რომელმაც ნაჯახით დაჩეხა სომეხი კოლეგა, ჟირინოვსკიმ შესთავაზა საპასუხო ზომები: „ასევე ვიღაცას შეუძლია ისროლოს ყუმბარა — და მთელი ასეული დაიღუპება". ბაქოში ჟირინოვსკის „ოინბაზი" უწოდეს, ახლა კი სულაც მიიწვიეს რუსეთის ფედერაციის ელჩი, გადასცეს მას ნოტა და მოითხოვეს განმარტება.



**რას წერენ, რას ამბობენ ჩვენი მოძულენი ჩვენზე**

*რუსი ავტორის (ოღონდ აშკარად არა რუსული გვარის) ლავრენტი გურჯიევის წიგნი („სტალინიზმი – რუსეთის ხსნა“), სადაც „საქართველოს რესპუბლიკის“ მკითხველს რამდენიმე ნაწყვეტს ვთავაზობთ, 2008 წლის ავად მოსაგონარი აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ გამოიცა მოსკოვში. საკმაოდ სქელი წიგნია, ექვსას გვერდზე მეტი.*

*წიგნის შინაარსის მიხედვით ავტორი დამოუკიდებელი ჟურნალისტი-პუბლიცისტია, რომელიც, როგორც იტყვიან, ყველანაირად დაუნდობელი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს ამჟამინდელ რუსეთის ხელისუფლებას, მაგრამ, რა თქმა უნდა, ცხადად თუ ფარულად ველიკორუსული პოლიტიკის დამცველია (თან საბჭოთა წარსულისკენ მაცქერალი)... ასე რომ, როგორც მოყვარესა და კეთილისმყოფელს, ისე ვერ განვიხილავთ. ეს თუნდაც იქიდანაც ჩანს, რომ ავტორი დაუფარავად გულდაწყვეტილია, რატომ რუსეთმა ბოლომდე ვერ მიიყვანა ეს ომი და რუსეთს ამერიკამ აჯობა.*

*თუმცა ისიც პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ნამდვილად დასაფასებელია წიგნის ის მამხილებელი პათოსი, რომელიც მიმართულია ყველა იმ შინაური თუ გარეული ვაიპოლიტიკოსის წინააღმდეგ, ვინც ათასგვარი ულრის მანქანებით ხელისუფლების სათავეში მოქცეულა და თვითონ ცხოვრებამოყირჭებული ტყუილებსა და ფუჭ დაპირებებში აცხოვრებს სოციალურად თითქმის სულამომდინარ ხალხს.*

*ჩვენ წიგნის იმ ნაწილს ვთავაზობთ მკითხველს, სადაც, კერძოდ, ლაპარაკია აგვისტოს ომზე და ამ ომში უშუალოდ მიხეილ სააკაშვილის, როგორც წარუმატებელი მხედართმთავრის, ავბედით როლზე.*

*ახლა, როდესაც საქართველოსთვის მართლაცდა ბედისწერულ არჩევნებამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი და ყველანი თვალნათლივ ვხედავთ, თვითონ პარტიის თავმჯდომარის მეთაურობით რა ულრის ხერხებით იბრძვიან ხალხის წინაშე მრავალჯერ სამარცხვინოდ ჩაჭრილი ნაციონალები ძალაუფლების შესანარჩუნებლად და ხელისუფლებაში მესამე ვადით დასარჩენად, ალბათ, უპრიანია, რომ ერთხელ კიდევ შევახსენოთ მკითხველს ქვეყნის ამჟამინდელი ხელისუფლების სახით ვისთან, რა ხელისუფლებასთან გვაქვს საქმე.*

*მიუკერძოებელი მკითხველი, რომელიც უთუოდ ორლესული კრიტიკული თვალით მიუდგება ლ.გურჯიევის ტექსტს, ანუ ორსავე მხარეს, მოხდურსაც და დამხვდურსაც, კუთვნილს მიუზღავს, აუცილებლად ერთ ფრიად ღირებულ დასკვნასაც გამოიტანს: მარტო ჯარისკაცებს კი არა, თვითონაც აგრერიგად ძალაუფლებაგამკვბარ ნაციონალებს, თავიანთ ჰალსტუხიჭამია ბელადთან ერთად, ასეთი „უზიზღარი მეყვეღაფრობით“, ასეთი ყველაფრის მკადრებლობით, სიშმაგითა და სიმძაფრით რომ ებრძოლათ აგვისტოს ომში მტრის წინააღმდეგ, როგორც ახლა, წინასაარჩევნო გარემოს დასანგრევად და არჩევნების ყველანაირი საშუალებით (ქვების სროლა, თავ-პირის მტვრევა, დაყადაღებები, ჯარიმები, დაჭერები, პროვოკაცია, დემაგოგია, შანტაჟი, ჭორი, ცილისწამება არასრული ნუსხაა!) მოსაგებად ებრძვიან თავიანთ ოპონენტ კოალიციას, ალბათ, ტალიავინისა თუ სხვა დოკუმენტების შექმნა (უტყუარი სიმართლის დასადგენად) საჭირო აღარ გახდებოდა.*

*მოკლედ, ასეა თუ ისე, ჩანს, ცხოვრების შემდგომი სწორი განგრძობის მიზნით როგორც მოყვასის, ისე არაკეთილმოსურნის აზრის ცოდნაც საჭირო და აუცილებელია...*

ლავრენტი გურჯიევი

# დიაგნოზი „სააკისტებისთვის“...

## ანუ დასავლეთმა დაადგინა საქართველოსგან „პატიოსანი ლიბერალურ-დემოკრატიული“ ვიტრინის შექმნა

ნაწყვეტები წიგნიდან

უნდა ვაღიაროთ, რომ რუსი ერი, რუსეთის მშრომელები ჯერ კიდევ საბოლოოდ ვერ ჩამოყალიბდნენ გზის არჩევანში; ამიტომ მოსკოვური რეჟიმი ჯერჯერობით თოკებს გრეხს მათგან და სახალხო ზიზღის არც კი ეშინიათ, ისე ეგება ფეხთ დასავლურსისტემურ ხელმძღვანელებს.

ბოლო შენიშვნაზე საკმაოდ მართებულად შეუძლიათ შემოდავება. 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა საკადრისი მიუზღეს „ძია სემისაგან“ მოსეულ ქართველ აგრესორებს, რომლებიც დიდი ხანია, ლამობენ სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაპყრობას. ქართული რაზმების განადგურებითა და გაფანტვით რუსეთმა სამხედრო დარტყმა მიაყენა დასავლეთს. ორივე ზემოხსენებული რესპუბლიკის დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებით რუსეთმა დიპლომატიური დარტყმაც მიაყენა დასავლეთს. ნაკლებად ცხადი როდია დასავლურ ინტერესებზე ეკონომიკური დარტყმა. არა ჰგავს ფეხთ გაგებას. ვიტყვით, რასაც ჰგავს. აქ ყველაზე უმნიშვნელოა სამხედრო-ტექნიკური ასპექტი, თუმცა, ისიც საინტერესოა. მაგალითად, ქართველთა საბრძოლო ოპერაციებს კოსმოსიდან უზრუნველყოფდნენ აშშ-ის თანამგზავრები. რუსებს არ გააჩნდათ ამგვარი უზრუნველყოფა; ასე რომ, უფრო საგულისყუროა ჯერ კიდევ გარდაქმნა-პერესტროიკის დროს დაწყებული შეიარაღებული კონფლიქტის სხვა მდგენელები.

აღწერილ ამბებს საფუძველი დაუდო გორბაჩოვის გუნდის მიერ მოხერხებულად და მშვიდად განხორციელებულმა კავკასიური კონფლიქტების გასამხედროებამ. თვით კონფლიქტები გახლავთ კავკასიის ხალხთა იმ დავათა და ჩხუბთა ნაყოფი, რაც 1917 წელმა შეწყვიტა და ხელახლა პროვოცირება უყო 1956 წელმა. იმათი გააფთრება პირდაპირ უკავშირდებოდა ჩვენი ქვეყნის დესტალინიზაციასა და დეგასაბჭოებას...

რისი დემონსტრირება მოახდინა პოსტსაბჭოურმა რუსეთმა? ძალისაც და სისუსტისაც. კრემლის არათანამიმდევრულობა, არასიმტკიცე, არაანტიდასავლურობა ახალი ძალით გამოჩნდა და თანაც გამარჯვების პოტენციალის დამწევი.

უწინარესად გამოვყოთ ის ფაქტორი, რომ ნებისმიერი ომი ყოფილ საბჭოურ სივრცეში, განსაკუთრებით კი კავკასიაში, არის სამოქალაქო ომი ყოველნაირი ფორმალური სახელმწიფო საზღვრის მიუხედავად. ოსები და აფხაზები, ამ მხარეების დანარჩენი მცხოვრებნი, ბევრი ქართველის ჩათვლით, 1980-იანი წლების ბოლოს განუდგნენ ფაშისტურ გზაზე შემდგარ თბილისურ რეჟიმს...

ოფიციალური საქართველო, დასავლურფილური კადრების ფარშით დატენილი, კბილების ღჭრიალს მოჰყვება და ყეფას დაუწყებს რუსეთს, მაგრამ ვერ გაიწევს მასზე. ამავე დროს ქართველი ფიურერების აგრესიულობა მოსაზღვრე სახელმწიფოების წინააღმდეგ შინაქართული კრიზისებისა და რეგიონული სამოქალაქო ომის საერთო გამწვავების ფონზე, მხოლოდ გაიზრდება. გაკვეთილმა „სააკისტებს“ ჭკუა ვერ ასწავლა – რევანში აბოდებთ. დასავლეთი უბრალოდ კი არ არის იმათ მხარეს – ხელახლა აიარაღებს და რევანშისტებად დარჩენას უბრძანებს. საქართველოს მხრიდან ვერაგული თავდასხმის საფრთხე არ მოხსნილა.

ვერაგულად კი ეს თავდასხმა უკვე ერთადერთი ნიშნით კვალიფიცირდება. პრეზიდენტი სააკაშვილი სხვის ტერიტორიაზე მასირებულ შეჭრამდე რამდენიმე საათით ადრე ოფიციალური განცხადებით გამოვიდა: სახვალიოდ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებია დანიშნული, სადავო საკითხები მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყდება, მე ბრძანება გავეცი, რომ არ ისროლონ და მეტიც – მეორე მხარის ცეცხლს არ უპასუხონო. ამით იმ მხარეს სიფხიზლეს უდუნებდა და ნაწილობრივ მოუდუნა კიდევაც; ხოლო ბრძანება კი, როგორც გამოირკვა, საპირისპირო გასცა.

მოვიყვანოთ ხუთდღიანი ომის არასრული შედეგი.

სამხრეთ ოსეთის საზღვრებში: რამდენიმე მთლად გადაბუგული სოფელი, გვარიანად დანგრეული ცხინვალი, ათას ხუთასი მოკლული და ამდენივე დაჭრილი, ლტოლვილები, კოლოსალური მატერიალურ-ფინანსური დანაკარგი. საქართველოს ფარგლებში: რამდენიმე ათეული ჩამონგრეული, გადამწვარი შენობა გორსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში, დაახლოებით 150 დაღუპული მშვიდობიანი მცხოვრები, დევნილები, კვლავ კოლოსალური მატერიალურ-ფინანსური დანაკარგი. განსაკუთრებით იარაღისა. საქართველოს ჯავშანტექნიკის 600 ერთეულიდან დააკლდა 250, საარტილერიო იარაღისა და ნაღმტყორცნების 300 ერთეულიდან – 110, 15 საბრძოლო თვითმფრინავიდან – 13.

ქვეყანა დარჩა იმ სამხედროქონებიანი მრავალი საწყობის გარეშეც, რომელთაც კონფისკაცია უყვეს რუსეთის ჯარებმა. მათ ნადავლად ჩაიგდეს „საკაპტური“ ეკიპაჟებისგან მიტოვებუ-



ლი ასამდე წესივრული ტანკი და სხვა ჯავშანმანქანა, თავად კი ბრძოლებში დაკარგეს ათზე ცოტა მეტი ტანკი. საერთაშორისო ექსპერტები ქართული ძალოვანი უწყებების პირადი შემადგენლობის დანაკარგებს აფასებენ ორ-სამ ათას მოკლულად და უგზოუკვლოდ დაკარგულად, რუსეთის დანაკარგებს – სავარაუდოდ, 100-300 სამხედრო მოსამსახურის ოდენობით.

იუდომოქმედი, ევროპომოქმედი და სააკისტომოქმედი მჯღაბნელები, რომელთაც ასე კარგად გამოსდით თვალების ტრიალი, თეატრალურად ხელთაპყრობა და დროულად წაქვითინება, ჰყვებოდნენ, თუ როგორ უტევდა მობილიზებული, კბილებამდე შეიარაღებული 80-ათასიანი რუსეთული ურდო მთელს რესპუბლიკაში გადანაწილებულ 20-ათასიან ქართულ ჯარს. იმათი სიტყვებით გამოდიოდა, რომ ოსეთთან საზღვარზე, არსებითად კი ფრონტის ხაზზე, საქართველოს ჰყავდა ერთი-ორი ათასი დასასვენებლად მყოფი, ომისთვის გაუმზადებელი ჯარისკაცი, რომლებსაც ძილი დაურღვიეს ოსმა მკვლელებმა, რუსი ქართველთმოძულეებისგან მხარდაჭერილებმა.

საუკეთესოდ დაყენებული შემტევითობით ბრაზობდა საგაზეთო მიმომხილველი, ტელერადიოგადაცემათა წამყვანი და დეტექტივთა ნაყოფიერი შემთხზველი ლატინინა. მან, სხვათა შორის, სამხრეთოსეთელ მეომრებზე აილო ეჭვი – ო, რა საშინელებაა! – „ჰესბოლასა“ და „ჰამასის“ ტერორისტებისადმი სიმპათიაში... საკამათო როდია, რომ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატ ლატინინასათვის სულაც არაა სავალდებულო არაპროფილური სამხედრო საქმის შესწავლა; და მაინც, უცნობ სფეროში ცხვირის ჩაყოფით ეგების სირცხვილსაც გადაეყარო. ეგ იმიტომ, რომ მარტო ვიროლოგს და არა ფილოლოგს შეეძლო თხრობა საქართველოზე ძგერებულ რუსულ სატანკო კოლონაზე, რომელიც თურმე... 200 კილომეტრზე გაიჭიმა...

ამრიგად, გვაქვს რამდენიმე გადასხვაფერებული ციფრი: 80-ათასიანი რუსეთული ურდო, 20-ათასიანი ქართული ჯარი, 200-კილომეტრიანი სატანკო კოლონა...

არადა საკმაოდ ობიექტური საზღვარგარეთული წყაროების თანახმად, სააკაშვილი თავისი აგრესიის მომენტისათვის ეყრდნობოდა 30-ათასიანზე მეტ რეგულარულ არმიას, რომელიც არაფრის ნაკლებობას არ განიცდიდა, ნავარჯიშევი იყო, დასავლეთისგან იღებდა ინსტრუქტაჟს და დასავლეთსავე ექვემდებარებოდა ოპერატიულ-საშტაბო კუთხით. მით უმეტეს მრავალათასიანი, მშვენივრად აღჭურვილი (ჯავშანტექნიკითაც კი) პოლიციური კორპუსი, სპეცდანაყოფები (უცხოური სპეცდანის ჩათვლით), წინასწარ შეიარაღებული და გაწვრთნილი ლაშქარი, საზღვრისპირა სოფლებში ფორმირებული, იმათ რიცხვში სამხრეთ ოსეთის ქართული ანკლავების მკვიდრთაგან. სააკაშვილმა მოასწრო დაუდგენელი რაოდენობის რეზერვისტთა შეიარაღებაც, სავარაუდოდ, 50 ათასამდე. არსი არ იცვლება იმით, რომ რეზერვისტების უმეტესმა ნაწილმა ვერ მოასწრო საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მიღება. მოკლედ, სამხედრო ძალა საკმარისზე მეტად იყო თავმოყრილი.

თბილისელი ფიურერი თანამოაზრეთა ვიწრო წრეში ბაქიბუქობდა, რომ იმისი ტანკები იოლად მიგრუხუნდებიან მარტო ცხინვალში კი არა, დონის როსტოვამდეც. იქ, როგორც ცნობილია, ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბია განლაგებული. გამმასხრებლებს აქვე ვაცნობებთ, რომ მოსკოვის დაპყრობაზე, სადაც, როგორც ვიცით, რუსეთის გენშტაბი მდებარეობს, ბაზარი არ ყოფილა. შერაცხადობა ხანდახან მაინც ეწვეოდა ხოლმე ქართველ მთავარსარდალს.

მნიშვნელოვანი უპირატესობა გახლავთ ის, რომ ტერიტორიის კომპაქტურობის, ჩინებული გზების, აეროდრომების სიუხვის, მოხერხებული საზღვაო ბაზების გათვალისწინებით, ნებისმიერ კონფლიქტში თითქმის მაშინვე შეუძლია მონაწილეობის მიღება საქართველოს ყველა მაღალმობილურ შეიარაღებულ ძალას. ნატო არ იშურებს ფულს ამიერკავკასიის გზატკეცილების, სარკინიგზო, აეროდრომების ქსელების, საზღვაო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. ამას არაფერი არა აქვს საერთო ადგილობრივი ეკონომიკის აღორძინებასთან, რომელიც არ სჭირდება ოკუპანტებს. იმათ სხვა რამე უნდათ: მიზანში ჰქონდეთ ამოღებული რუსეთის სამხრეთი ფლანგი და ირანის ჩრდილოეთი ფლანგი, უზრუნველყონ თავიანთი ჯარების სწრაფი გადასხმა და გადასროლა შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპიროებს შორის, გააფართოონ ნატოს ფლოტის ბაზირების ზონა, ასეთივე შექმნან კასპიაში. გულმოდგინედ უმჯობესდება თურქეთთან ამიერკავკასიის შემაერთებელი გზები. სამაგიეროდ, რუსეთთან რეგიონის დამაკავშირებელი გზები არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

ჩრდილოკავკასიის სამხედრო ოლქის რუსეთული 58-ე არმია პირადი შემადგენლობის 70 ათასამდე კაცს ითვლიდა. იმისი მე-19 მოტომსროლელი დივიზია, ბრძოლების მთავარი სიმძიმის გადამტანი, საომარ მოქმედებათა თეატრში სრული შემადგენლობით არ გამოუყვანიათ. ეგეც კია, აქ გადმოსროლილი გახლდათ 76-ე ფსკოვის საჰაერო-სადესანტო დივიზიის ქვედანაყოფები, ჩეჩენთა ბატალიონი „ვოსტოკი“, სხვა კონტინგენტები; თუმცა იმ რუსეთელ სამხედრო მოსამსახურეთა საერთო რაოდენობამ, ვინც აგვისტოში საკადრისი მიუზღო ქართველ აგრესორებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, დაახლოებით 20 ათასი შეადგინა (სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების გარეშე). ესეც შენი ლატინინას 80 ათასი! შემდეგი ციფრის ამბავი კიდევ უფრო მარტივია.

ამ ქალბატონს თუ ცხელი წერტილები მოუნახულებია, ექნებოდა თანამედროვე ტანკის ახლოდან შეხედვის შესაძლებლობა. ეს გახლავთ შთამბეჭდავი უზარმაზარობა, რაც 40 თუ 50 ტონას იწონის... ოღონდ იმისი სიგრძე არ აღემატება 10 მეტრს, სიგანე 4 მეტრამდეა. ახლა გამოითვალეთ, რამდენ ტანკს დაიტევს ორასკილომეტრიანი გზა, თუ მარშზე ყოველ ას მეტრზე ორ მანქანაზე ნაკლები არ მოუწევს. ჯამში ყოველ კილომეტრზე 20 ტანკი გვექნებოდა და ოთხიათასიანი სატანკო არმადა, 200 კილომეტრზე გაჭიმული, როგორც მინიმუმი!

სწავლული მანდილოსნის, მაგრამ უწიგნური სტრატეგის საყურადღებოდ: შავი ზღვიდან წყნარ ოკეანემდე განთავსებული რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ნაწილებისა და შენაერთების საბრძოლო მწყობრში იმყოფებოდა 6500 ტანკი (დაკონსერვებულთა აღურიცხავად); მთელი 58-ე არმიის განკარგულებაში კი ოპერაციის დაწყებამდე მხოლოდ 609 ტანკი იყო; ოღონდ ქონა და ამოქმედება ერთი და იგივე როდია. არმიის სატანკო პარკის ნახევრის გამოყენებაც კი შეუძლებელი იქნებოდა იმ წუთიერ ომში... ზოგიერთები ფილოლოგიის საწყის სტადიაზე ჩარჩნენ.

თარგმნა
**თამაზ ებანოიძემ**

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული თასი

# დროინი მეფობენ...

**გულშემატკივარი ინფორმირებულია, რომ მას შემდეგ, რაც დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების წლევანდელი ფინალი უმსგავსობაში გადაიზარდა, ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ოჯახმა სფფ-ს მიმართა თხოვნით, ტურნირის სახელწოდებიდან ტყავის ბურთის დიდოსტატის გვარი ამოეღოთ.**

როგორც მოსალოდნელი იყო, ფედერაციის მაღალჩინოსნებს პასუხის გასაცემად თავი არ შეუწუხებიათ. ასე რომ, რადგან ნათქვამია, დუმილი თანხმობის ნიშანიაო, მათ ნაცვლად ჩვენ ვაკმაყოფილებთ მათ სურვილს და ამიერიდან გათამაშებას ტრადიციული სახელით მოვიხსენიებთ.



მორიგი სათასო სეზონის სტარტი იმითაა გამორჩეული, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბი თბილისის „დინამო“ პრესტიჟული ჯილდოსათვის ბრძოლაში თავიდანვე ჩაება.

მიზეზი ბანალურია – „თეთრლურჯები“ შარშან უტიტულოდ დარჩნენ, რამაც, პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში, ევროტურნირებს ჩამოაშორა, ეს კი, ავტომატურად, იმ პრივილეგიასთან გამომშვიდობებას ნიშნავს, რასაც ეროვნული თასისათვის ბრძოლაში მეოთხედფინალიდან ჩართვა ჰქვია. ახლა კი, მოდით, პირველი ეტაპის შედეგებს გავეცნოთ.

„სიონი“ – „სოხუმი“ 3:3, „ხობი“ – „ჩიხურა“ 0:2, „ბათუმი“ – „ჩხერიმელა“ 3:0, „იმერეთი“ – „ზუგდიდი“ 2:3, „კოლხეთი“ – „სამგურალი“ 3:1, „ლოკომოტივი“ – „ვიტ ჯორჯია“ 1:2, „მერანი“ – „სამტრედია“ 0:2, „ცხინვალი“ – „ლიახვი“ 5:1, სტუ – „დინამო“ 1:6.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# ენას ძვალი არა აქვს?!.



**რას არ იტყვის კაცი. როგორც კი მადრიდის „რეალს“ პრიმერადივიზიონის სტარტზე ფეხი დაუცდა, ზოგ-ზოგიერთებმა სისინი დაიწყეს, ჟოზე მოურინიუმ ესპანეთის ჩემპიონობის შენარჩუნებაზე ხელი აიღო და აქცენტს ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე აკეთებსო.**

რასაკვირველია, ამბიციურ მწვრთნელს დიახაც უნდა, რომ ევროპული საკლუბო ფეხბურთის მწვერვალი, „პორტუსა“ და მილანის „ინტერისა“ არ იყოს, „სამეფო კლუბთან“ ერთადაც დაიპყროს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საშინაო ტიტულების მოპოვებაზე უარი თქვას, რასაც, სხვათა შორის, ამას წინათ ქვეყნის სუპერთასის მოგება მოწმობს.



კიდევ ერთი ჭორი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის დაწყების წინ აგორდა, გუნდის გახლეჩას და ბანაკებად დაყოფას გულისხმობდა, აქაოდა „სევილიასთან“ დამარცხების შემდეგ ბიჭების ნაწილი ერთმანეთს არც კი ესალმებაო. საქმე საქმეზე რომ მიდგა, ესეც სასურველის რეალობად წარმოჩენა აღმოჩნდა. მოკლედ, „რეალი“ დიდ კლუბად და წლევანდელი ლიგის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად რჩება. და ეს მაშინ, როცა კენჭისყრის შედეგად პირველ რაუნდში სიკვდილის ჯგუფში მოხვდა.

ისე არ გაგვიგოთ, თითქოს გადაჭარბებულად ვაფასებდეთ „რეალის“ ჭეშმარიტ შესაძლებლობებს ან მისი პირველი მეტოქის „მანჩესტერ სიტის“ ღირსებებს ვაკნინებდეთ. არავითარ შემთხვევაში. უბრალოდ, ვაფასებთ იმას, რაც ტელეტრანსლაციისას ვნახეთ.

სხვათა შორის, პორტუგალიელი რომ არაორდინარული სპეციალისტია, ამჯერადაც დადასტურდა – მან სათადარიგოთა სკამზე რამოსი, იოზილი და ბენზემა დასვა, საყრდენი ნახევარმცველის საკვანძო პოზიციაზე კი ესიენი გაამწესა. თუმცა, როცა სიტუაციამ მოითხოვა, ოპტიმალური ცვლილებები განახორციელა და იმ შემადგენლობას მიაგნო, რომელმაც უიმედო ვითარებაში „ძლევაი საკვირველი“ გამოაცხო.

ისე, თუ ობიექტურნი ვიქნებით, სტუმართა თავკაცის რობერტო მანჩინის ტაქტიკური წიაღსვლებიც უნდა შევაქოთ, რომელმაც თამაშის მსვლელობისას გარდატეხის დროებით შეტანას ბრძოლაში რეზერვისტთა წარმატებული ჩაზმით მიაღწია, თუმცა მისმა შეგირდებმა ბოლომდე ვერ გაძლეს.

**I ტურის სრული შედეგები**

**„ა“ ჯგუფი.** „პარი სენ-ჟერმენი“ – კიევის „დინამო“ 4:1. **გოლები:** იბრაჰიმოვიჩი (პენალტით), ტიაგო სილვა, ალექსი, პასტორე; ველოზუ. ზაგრების „დინამო“ – „პორტუ“ 0:2. **გოლები:** ლუჩო გონსალესი, დეფური.

**„ბ“ ჯგუფი.** „მონპელიე“ – „არსენალი“ 1:2. **გოლები:** ბელჰანდა (პენალტით); პოდოლსკი, ჟერვინიო. „ოლიმპიაკოსი“ – „შალკე“ 1:2. **გოლები:** აბდუნი; ჰიოვედესი, ჰუნტელაარი.

**„გ“ ჯგუფი.** „მალაგა“ – „ზენიტი“ 3:0. **გოლები:** ისკო (2), სავიოლა. „მილანი“ – „ანდერლეხტი“ 0:0.

**„დ“ ჯგუფი.** „რეალი“ – „სიტი“ 3:2. **გოლები:** მარსელო, ბენზემა, კრიშტიანუ რონალდუ; ჯეკო, კოლაროვი. „ბორუსია“ – „აიაქსი“ 1:0. **გოლი:** ლევანდოვსკი.

**გიორგი შოთაძე**

სამბო

# რეპეტიცია დიდი ბრძოლების წინ

**ესტონეთის დედაქალაქ ტალინში დღეს დაიწყება და ოთხ დღეს გასტანს კადეტ სამბისტთა ევროპის ღია პირველობა, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც იასპარეზებენ, ოქტომბერ-ნოემბერში კი ბულგარეთსა და ბრიუსელში, შესაბამისად, მსოფლიოს პირველობა და ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებებისთვის ნაკრები გუნდების წევრთა შერჩევის მიზნით, ჭაბუკები და ახალგაზრდები საქართველოს საშემოდგომო პირველობაში მონაწილეობდნენ. დაძაბული პაექრობების შემდეგ ჩემპიონები და პრიზიორები გახდნენ:**

**ჭაბუკები**

**48 კგ.** 1.ირაკლი კუპატაძე (კახეთი), 2. ლევან შონია (იმერეთი), 3. ლერი ბედინაძე (აჭარა), 3. დავით კორტი (იმერეთი).

**52 კგ.** 1. იაგო დიხამინჯია (იმერეთი), 2. ანზორ მაჩიტაძე (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. სანდრო ხუციანიძე (კახეთი), 3. გიორგი შავდათუაშვილი (შიდა ქართლი).

**56 კგ.** 1. გიორგი ნათათრალაშვილი (რაჭა-ლეჩხუმი-ქვ. სვანეთი), 2. სოლომონ თედიაშვილი (კახეთი), 3. ივანე გაჩეჩილაძე, 3. ვარლამ შალიკაშვილი (ორივე – იმერეთი).

**60 კგ.** 1. ლევან თანიაშვილი (თბილისი), 2. ზაზა როსტომაშვილი (კახეთი), 3. მირზა გუჯეჯიანი (ქვ. ქართლი), 3. ბაჩანა ჭიკაიძე (თბილისი).

**65 კგ.** 1. ლევან კირკიტაშვილი, ცოტნე მელაშვილი (ორივე – თბილისი), 3. ბექა ფალიანი (სამეგრელო-ზემო სვანეთი), 3. კობა მჭედლიშვილი (კახეთი).

**70 კგ.** 1. თომა თავზარაშვილი (თბილისი), 2. პავლე ქავთარაძე (მცხეთა-მთიანეთი), 3. აპოლონ ზურაბიანი (რაჭა-ლეჩხუმი-ქვ. სვანეთი), 3. გიორგი მათიაშვილი (შიდა ქართლი).

**75 კგ.** 1. უშანგი მარგიანი (იმერეთი), 2. სოლომონ ჯოჯუა (ქვ. ქართლი), 3. ლევან ცოკიაშვილი (კახეთი), 3. გურამ ხოხობაშვილი (თბილისი).

**81 კგ.** 1. ზაურ მამარდაშვილი (კახეთი), 2. მიხეილ მეზურნიშვილი (თბილისი), 3. ჯემალ შინჯიკაშვილი (კახეთი), 3. ჯონი ჭითანავა (სამეგრელო-ზემო სვანეთი).

**87.** 1. ილია ოტიაშვილი (კახეთი), 2. გოგიტა ითაშვილი (ქვ. ქართლი), 3. ნიკა ნიქაბაძე (იმერეთი), 3. მერაბ ქალდანი (ქვ. ქართლი).

**+87 კგ.** 1. გიორგი ლაზუაშვილი, გუგა კიზორძალიძე (ორივე – იმერეთი), 3. გიგა გელაშვილი, 3. ჯემალ დაბრუნდაშვილი (ორივე – შიდა ქართლი).




**ახალგაზრდები**

**48 კგ.** 1. ლერი ჯიხვაშვილი (იმერეთი), 2. გიორგი მირუაშვილი (შიდა ქართლი), 3. ავთანდილ მზარეულიშვილი (თბილისი).

**74 კგ.** 1. მიხეილ ჩოხელი (კახეთი), შმაგი შარიფაშვილი (შიდა ქართლი), 3. ანდრო გვენეტაძე (თბილისი), 3. ჯაბა ბიწაძე (კახეთი).

**82 კგ.** 1. ამირან იანვარაშვილი (შიდა ქართლი), 2. გიორგი მახარაშვილი, 3. თორნიკე მნათობიშვილი (ორივე – მცხეთა-მთიანეთი), 3. გიორგი ჯაფარიძე (სამეგრელ-ზემო სვანეთი).

**90 კგ.** 1. თეიმურაზ ხაჩიძე, 2. შალვა ნინიძე, 3. ავთანდილ სომხიშვილი (სამივე – თბილისი), 3. თემურ ნიჟარაძე (იმერეთი).

**100 კგ.** 1. თორნიკე ოთინაშვილი (სამაჩაბლო), 2. დავით მერაბიშვილი, 3. გიორგი პარუნაშვილი (ორივე – თბილისი), 3. ბექა წყალობაშვილი (კახეთი).

**+100 კგ.** 1. უშანგი კოკაური (შიდა ქართლი), 2. სლავა რეზესიძე (ქვ. ქართლი), 3. გიგა გელაშვილი (შიდა ქართლი), 3. გიორგი ზაქარიაძე (იმერეთი).

**ლექსო ცინცაძე**

მხატვრული ტანვარჯიში

# გრაციები „გრაციაში“

**საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის 27 წარმომადგენელი მონაწილეობდა ნელი სალაძის სახელობის მხატვრული ტანვარჯიშის აკადემიის სასპორტო კლუბ „გრაციის“ ინიციატივით მოწყობილ საერთაშორისო ტურნირში.** გამარჯვებულები და პრიზიორები გამოვლინდნენ რამდენიმე ასაკში. პატარებში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ სალომე ოქროპირიძე (9-წლიანები), ლამაი ჰაჯიევა (აზერბაიჯანი, 10-წლიანები) და ლეილა იბრაგიმოვა (აზერბაიჯანი, 11-წლიანები). საშუალო ასაკში პირველი ადგილი ნინია როხვაძემ დაიკავა. მას მცირედით ჩამორჩნენ ქეთევან ლომაძე და ლუიზა მანუკიანი (სომხეთი). უფროს ასაკში აზერბაიჯანელმა ლამან დადაშმა იყოჩაღა. მეორე-მესამე ადგილები სალომე ურუშაძემ და ლიზი აფაქიძემ გაინაწილეს.



**გივი გაგუა**

პერიოდული პრესა

# „სამი საუნჯე“ №3(5), 2012

**დაიბეჭდა ახალი ნომერი სამეცნიერო-საზოგადოებრივი ჟურნალისა „სამი საუნჯე“ №3(5), 2012, რომელიც იხსნება სარედაქციო საბჭოს (რედაქტორი გრიგოლ რუხაძე) მიმართვით საქართველოს ხელისუფლებისადმი. კერძოდ, იგი ხელისუფლებას კიდევ ერთხელ მოუწოდებს, უზრუნველყოს სამართლიანი არჩევნების ჩატარება და არ დაუშვას სამოქალაქო დაპირისპირება.**




განათლების სხვადასხვა დარგის ცნობილი სპეციალისტების – ზურაბ ცუცქირიძის, გიორგი გოგოლაშვილისა და თენგიზ ქამუშაძის სტატიებში გაანალიზებულია სასკოლო და უმაღლეს სასწავლებლებში გატარებული ე.წ. რეფორმების კატასტროფული შედეგები.

თეიმურაზ მირიანაშვილის ღია წერილში აშშ-ის ელჩის მიმართ, დასმულია ლოგიკური შეკითხვა, როგორც მეგობარი სახელმწიფოს წარმომადგენლისადმი: რატომ დუმს და სათანადოდ არ რეაგირებს აშშ საქართველოს ხელისუფლების ანტიკონსტიტუციურ და ანტიდემოკრატიულ ქმედებებზე?

„ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხზე ამავე სახელწოდების რუბრიკაში წარმოდგენილია გვანცა კოპლატაძის, ანზორ თოთაძის, ზონდო არველაძის, ნოდარ ლომოურის და სხვ. წერილები, რომელნიც, ერთად აღებულნი, საქართველოს მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის საერთო სურათს ქმნიან და მკითხველს სიფხიზლისაკენ მოუწოდებენ, რათა ეს ტანჯვითა და წამებით შენარჩუნებული უძველესი კულტურის ქვეყანა „მეგობარი ქვეყნების ხელშეწყობით“ თავზე არ დაგვექცეს.

ჟურნალის საერთო შინაარსიდან გამომდინარეობს დასკვნა: თუ ქართველმა ხალხმა დღევანდელ ხელისუფლებას 1 ოქტომბერს არჩევნების გაყალბების საშუალება მისცა და საკუთარი უფლებები არ დაიცვა, მაშინ საეჭვო გახდება, შეძლებს თუ არა იგი შთამომავლობისთვის სამი საუნჯის – მამულის, ენისა და სარწმუნოების შენახვასა და გადაცემას.

ვითარება

# „ან ხმას მისცემ, ან ვერაფერსაც ვერ მიიღებ?!.



**ვიდრე მექსიკაში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდებოდა, ქვეყანაში ამ უმაღლესი სახელმწიფო პოსტის დაკავების ერთ-ერთმა კანდიდატმა ქალბატონმა, მშვენიერი სქესის წარმომადგენელ თანამემამულეებს მოუწოდა... სექსზე უარის თქმა იმ მეუღლეებისთვის , ვინც არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს!**

მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მეუღლეებისადმი პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვის მოთხოვნის მხრივ ასეთი აქტიურები მარტო მექსიკელი ქალბატონები არ ყოფილან. 2004 წელს ასეთივე აგიტაციით გამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი საზოგადოებრივი ორგანიზაცია.

ჩვეულებრივ, არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოწოდება რომელიმე კონკრეტული კანდიდატის მხარდასაჭერად კეთდება ხოლმე, რომლის მომხრეები „სიზარმაცით“ გამოირჩევიან. სწორედ ეს გარემოება გახდა იმის მიზეზი, რომ, მაგალითად, შვედეთში, ამ ტიპის მოწოდებები კანონითაა აკრძალული.

ისე კი, საქართველოში მოახლოებული საპარლამენტო და, მით უმეტეს, გაისად ჩასატარებელი საპრეზიდენტო არჩევნების გათვალისწინებით, ზოგადად არჩევნების საკითხი შიდა პოლიტიკური ცხოვრების გამოკვეთილად წამყვანი თემაა. თუ რა, როგორ, რა მეთოდებით და საშუალებებით ხდება ყოველივე ჩვენში – დედაქალაქში თუ მხარეებში საზოგადოებრიობისთვის კარგადაა ცნობილი. ამდენად, ალბათ, საინტერესო იქნება იმის გაცნობა, თუ როგორ იზიდავენ თანამოქალაქეებს საარჩევნო უბნებში სხვადასხვა ქვეყანაში.

უფროსი თაობის ხალხს უთუოდ ახსოვს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში ზოგიერთ საარჩევნო უბანში იაფიან დელიკატესებს ყიდდნენ. დღესდღეობით კი, საარჩევნო უბნებში გამოცხადების ასამაღლებლად, მაღაზიებში შელავათების კუპონებსა და ფასიანი პრიზების ლატარიის ბილეთებს არიგებენ. საბერძნეთში არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობისთვის დიდი ჯარიმაა გათვალისწინებული, თუმცა კი ეს კანონი დღემდე არც ერთხელ არ გამოუყენებიათ. თურქეთსა და პაკისტანში არჩევნებისგან ამრიდებელთათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაა გათვალისწინებული. ჰაიტის ყოფილ დიქტატორ დიუვალიეს საარჩევნო უბნებში ხალხი სულაც ბადრაგით მიჰყავდა, რათა მოქალაქეებს ურნებში... შეუვსებელი (!) ბიულეტენები ჩაეგდოთ.

**თამარ გოგიაშვილი**

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

და ნინო წულუკიძე, რძლები მანანა წულუკიძე, ნინო ტურძელაძე, მაკა ლაგვილავა, სიძეები ჰამლეტ ლაგვილავა, ირაკლი წერეთელი, ძმისწულები მერი, ალეკო წულუკიძეები, დისწულები გია, მაია ლაგვილავები, შვილიშვილები სალომე, ზვიადი, ლიზი, ნინო, ნოდარი, გიორგი, მარიამი, ელენე, დეიდა თინა მაჭავარიანი, დეიდაშვილი მანა გამცემლიძე ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

**დოდო (ქეთევან) წულუკიძე**

პანაშვიდი 20, 21 IX, 17 სთ.
დაკრძალვა 22 IX, 15 სთ.
ლვოვის ქ. №52.

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ

[illegible]

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | შპს „ჩირალდანი“ | ლაგოდეხი სოფ. ცოდნისკარი | 599 154766 599 198137 | [illegible] 1400000 | [illegible] |

[illegible]

**საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ს.ს.ი.პ - ბუნებრივი რესურსების სააგენტოს განცხადება**

2012 წლის 29 მაისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ **№5 (ხობის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯიჯაო მდ. ხობისწყალზე „საჯიჯაოს“ ქვიშა, ხრეშის გამოვლინება)** სალიცენზიო ობიექტზე აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განცხადება შემოვიდა 2012 წლის 19 სექტემბერს, აუქციონი გაიმართება ს.ს.ი.პ – ბუნებრივი რესურსების სააგენტოს შენობაში ა/წ 24 სექტემბერს 12 საათიდან. აღნიშნულ ობიექტებზე განცხადებების მიღება შეწყდება აუქციონის გამართვის წინა სამუშაო დღეს.

მოგვმართავენ, გვეკითხებიან

რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.

**კითხვა: მიმდინარე წლის აგვისტოში სამუშაოდან გამათავისუფლეს შტატების შემცირების გამო. დღემდე საბოლოო ანგარიში არ გაუსწორებიათ. მეკუთვნის დამატებითი ერთი თვის ხელფასი?**

**ნინო ობოლაძე**

**პასუხი:** დიახ, გეკუთვნით, ვინაიდან შტატების შემცირების დროს, შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორად დამსაქმებელი ითვლება. ამდენად, დასაქმებულს საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს, რომელიც სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან არაუგვიანეს 7 დღეში უნდა მოხდეს, დამატებით არანაკლებ ერთი თვის ხელფასი აუცილებლად უნდა მიეცეს (საფუძველი: საქართველოს შრომის კოდექსის 38-ე მუხლის მე-3 პუნქტი).

**კითხვა: რამდენიმე დღეში მიწევს დეკრეტულ შვებულებაში გასვლა. მაქვს მხოლოდ ორი თვის შრომის სტაჟი. მომეცემა თუ არა ფასიანი ან უხელფასო დეკრეტული შვებულება და როგორი წესით მოხდება მისი გამოანგარიშება?**

**მაია გობეჯიშვილი**

**პასუხი:** შვებულება, ორსულობის და მშობიარობის, ასევე ბავშვის მოვლის გამო 477 კალენდარული დღის ოდენობით მოგეცემათ, მიუხედავად შრომის სტაჟის ხანგძლივობისა. რაც შეეხება საშვებულებო ანაზღაურებას, იგი გამოანგარიშებული უნდა იქნეს ფაქტობრივი ნამუშევარი თვეების საშუალო ანაზღაურებიდან, ხოლო თუ ყოველთვიურად ფიქსირებულ ხელფასს იღებთ – ბოლო თვის ანაზღაურების მიხედვით.

მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 299-62-77.

⊙ დედაქალაქი

# მობრძანდით ამ წალკოტში!



მანქანა ნაგავი გაიტანეს, შესასვლელთან მოწყობილი ყვავილნარი ათასნაირი შემოდგომის ყვავილით მორთეს, ირგვლივ კი მოხერხებული სკამები დადგეს. კაპიტალურად შეკეთდა ცნობილი აივნის კიბე, რომლის მისასვლელთან დეკორატიული ფილებიც დააგეს. ამდენად, დედაქალაქში კიდევ ერთი კოხტა დასასვენებელი ადგილი გაჩნდა.

ტყე-პარკის ზედა მხარეს ლამაზი შადრევანი აჩუხჩუხდა. სასმელ წყალს კი მოწყურებული ხალხი პატარ-პატარა შადრევნებიდან მიირთმევს. ცალკეა აღსანიშნავი, რომ აღდგენილ ბაღში



თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ცნობილი ტყე-პარკის განახლების ამბავი მკითხველს ჩვენი გაზეთის 8 სექტემბრის №172-ში მასალაში „ძველი პარკის ახალი სიცოცხლე“ მაშინ ვუამბეთ, როცა სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულებული არ იყო.

მას შემდეგ ტყე-პარკის ტერიტორია ერთიანად შეიცვალა და საოცრად გალამაზდა. მშენებლებმა იქიდან ათობით



წესრიგის დაცვას, ისევე როგორც დედაქალაქის ამგვარ სხვა დასასვენებელ ადგილებს, პოლიციის განწესი დღე-ღამის განმავლობაში უზრუნველყოფს.

ნინო ალექსანდრია

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

⊙ ჩვენი პრესდაიჯესტი

## გუშინდელი გაზეთებიდან



### „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კუდ-ი და სოდ-ი გაუქმდება

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (კუდი)ძ და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდი)ძ გაუქმდება. ეს განცხადება ზუგდიდის რაიონში კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ ოდიშში მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა. „მე მინდა, დაგარწმუნოთ, რომ კუდი და სოდი – ასეთი ამორალური ორგანიზაციები იქნება გაუქმებული, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება. დარჩება პოლიცია და უშიშროება, რომელიც მოსახლეობას მოემსახურება“, – აღნიშნა ალასანიამ.

„ახალი თაობა“

### „ისლამის უცოდველობის“ ერთ-ერთი მსახიობი ქართველი ანა გიორგობიანია

როგორც ცნობილი გახდა, ქართველი მსახიობი ანა გიორგობიანი, იგივე ანა გურჯი სკანდალურ ფილმში „ისლამის უცოდველობა“ ერთ-ერთ როლს ასრულებს. ამის შესახებ ინფორმაციას თავად ანა ავრცელებს უცხოურ ვებგვერდებზე გამოქვეყნებული წერილით, სადაც ანა ამბობს, რომ არც მან და არც სხვა მსახიობებმა, ფილმის შემქმნელების რეალური გეგმის შესახებ არაფერი იცოდნენ.

„ვერსია“

### სიები, პირადობის ნომრები და ტრენინგები გაყალბებაში

წინასაარჩევნო სახელმწიფო სამსახურში დასაქმებულმა ადამიანებმა უფროსებისაგან შემდეგი სახის დავალება მიიღეს. მათ „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეული რაოდენობის მხარდამჭერები უნდა მოაგროვონ და მათი სახელები, გვარები და პირადობის მოწმობების ნომრები უფროსებს უნდა გადასცენ. მიზეზები მათთვის არავის აუხსნია, მაგალითად, ვარკეთილის ერთ-ერთი კორპუსის თავმჯდომარე ქალბატონი ლალი „ნაციონალური მოძრაობიდან“ 5 ადამიანის ხმითაა „დავალებული“.

„რეზონანსი“

### როგორ შეიძინა მიტროპოლიტმა აბრაამ გარმელიამ ვაკეში ძვირადღირებული ბინა

წმინდა სინოდის გადაწყვეტილების თანახმად, სასულიერო პირებს პოლიტიკაში ჩარევა ეკრძალებათ, თუმცა, როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილების დარღვევას სინოდის ზოგიერთი წევრი არ ერიდება. ამას წინათ ინტერნეტში გავრცელდა ქადაგება ფოთისა და ხობის ეპარქიის მიტროპოლიტის, მეუფე გრიგოლისა, რომელიც მრევლს შიშსა და უნდობლობას უნერგავს. დასავლეთ ევროპის ეპარქიის მიტროპოლიტი აბრაამ გარმელია კი ნაციონალ მამუკა ახვლედიანთან ერთად ევროპაში მგზავრობს და უცხოეთში მცხოვრებ ემიგრანტებს „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდაჭერისკენ მოუწოდებს. ამის სანაცვლოდ გარმელიას ფეშენებელური ბინა „უფეშქაშეს“ თბილისში, ვაკეში...

„ყველა სიახლე“

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

⊙ კადრი



⊙ ანეკდოტები

დაქალები საუბრობენ.

– რა ცუდად არის ეს ქვეყანა მოწყობილი, ყველაფერი, რაც მომწონს, ან მასუქებს, ან უზნეობად ითვლება!

* * *

– შენმა ქმარმა იცის, რომ ღალატობ?

– ჩემმა არა, შენმა იცის.

* * *

პირველი სექტემბერია, პირველკლასელი მიხო სკოლიდან ბრუნდება.



– რა გითხრეს, მიხო, სკოლაში?

– ეჰ, ათი წელი მომარჭვეს!

* * *

– უფალო, რა ამბავია ათი მცნება, ხუთი რომ იყოს არ ჯობია?

– მოშე! ნუ ვაჭრობ!

– რატომ, აბა, სად წერია არა ივაჭროო?

* * *

პაციენტმა ექიმთან ანალიზების პასუხი შეიტანა.

– რამდენი წლისა ხარ?

– სამ თვეში ორმოცის გავხდები.

ექიმი ანალიზებს კითხულობს:

– ჩემს ფეხებს გახდები!

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24